პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 46-ე წელი. № 205 (13230) | სამშაბათი, 31 აგვისტო, 1965 წ. | ფასი 2 კაპ.

# საინფორმაციო ცნობა

## საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

**30 აგვისტოს** გაიმართა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი.

პლენუმი გახსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. **ვ. პ. მჟავანაძემ.**

პლენუმმა მოისმინა და განიხილა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის **შ. ი. ჭანუყვაძის** მოხსენება „რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ამოცანები სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესყიდვის გეგმების შესრულებასა და პირუტყვის გამოზამთრებისათვის მზადებაში".

კამათში მონაწილეობდნენ პარტიის მახარაძის რაიკომის პირველი მდივანი **ა. ნ. თოიძე,** საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი **ა. დ. თხილაიშვილი,** საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი **მ. ბ. ლვინჯილია,** პარტიის ზუგდიდის რაიკომის პირველი მდივანი **ი. ლ. ჩიქავა,** პარტიის სიღნაღის რაიკომის პირველი მდივანი **დ. ლ. გელაშვილი,** რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკის" თავმჯდომარე **ი. მ. ხოხლოვი,** პარტიის გალის რაიკომის პირველი მდივანი **ვ. მ. კოკაია,** მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორი **ნ. მ. ხომიზურაშვილი,** პარტიის წალკის რაიკომის პირველი მდივანი **ა. კ. მაკაროვი,** პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი **გ. ნ. ჯუსოევი,** გორის რაიაღმასკომის თავმჯდომარე **ი. ა. ტოლიაშვილი,** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ხილის, ციტრუსების, ბოსტნეულისა და კარტოფილის დამზადების, გადამუშავებისა და რეალიზაციის მთავარი სამმართველოს უფროსი **პ. ი. ხოფერია,** პარტიის ზესტაფონის რაიკომის პირველი მდივანი **შ. ა. ვერულაშვილი,** სამტრესტის მმართველი **დ. ზ. რომელაშვილი,** პარტიის ყვარლის რაიკომის პირველი მდივანი **გ. ი. ზაუტაშვილი.**

პლენუმზე სიტყვა წარმოთქვა ამხ. **ვ. პ. მჟავანაძემ.**

განხილულ საკითხზე პლენუმმა მიიღო დადგენილება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მსუბუქი და კვების მრეწველობის განყოფილების გამგედ პლენუმმა დაამტკიცა ამხ. **რ. გ. ლეიაშვილი.** (საქინფორმი).

# საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელთა მოლაპარაკება არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტთან

**30 აგვისტოს** კრემლში გაიმართა საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელებისა და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტის, არაბთა სოციალისტური კავშირის თავმჯდომარის გამალ აბდელ ნასერის მოლაპარაკება.

საბჭოთა კავშირის მხრივ მოლაპარაკებაში მონაწილეობდნენ ლ. ი. ბრეჟნევი, ა. ნ. კოსიგინი, ა. ი. მიქოიანი, ა. ნ. შელეპინი, სსრ კავშირის მინისტრები ა. ა. გრომიკო, რ. ი. მალინოვსკი და სხვები.

არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მხრივ პრეზიდენტ გამალ აბდელ ნასერთან ერთად მოლაპარაკებაში მონაწილეობდნენ: არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ვიცე-პრეზიდენტი ზაქარია მოჰი ედ-დინი, ეროვნული კრების თავმჯდომარე ანვარ ელ-სადათი, პრემიერ-მინისტრის მოადგილე საგარეო საქმეებში დოქტორი მაჰმუდ ფავზი, საგარეო საქმეთა მინისტრი მაჰმუდ რიადი და სხვები.

მოლაპარაკების დროს, რომელიც მიმდინარეობდა აგრეთვე 29 აგვისტოს მოსკოვის მახლობლად, გაგრძელდა აზრთა გაზიარება უკვე განხილულ საკითხებზე. მოლაპარაკებას ახასიათებდა გულითადობა, გულთბილობა და გულწრფელობა. ყურადღების ცენტრში იყო თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობა და სსრ კავშირისა და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მეგობრული ურთიერთობის შემდგომი განვითარება. (საქინფორმი).

## ერევნის მარკით

**ჩვენი** ქვეყნის 200 სხვადასხვა ორგანიზაცია იღებს ერევნის ავტოსატვირთველების ქარხნის პროდუქციას. ერევნის მარკიანი ტვირთსაზიდი უნივერსალური მანქანები მუშაობენ მოსკოვსა და ლენინგრადში, კიევში, რიგაში, ჩვენი ქვეყნის ბევრ სხვა ქალაქში, აგრეთვე არქტიკაში.

ერევნის საწარმო საბჭოთა კავშირის ერთადერთი საწარმოა, რომელიც 4022 მოდელის ორტონიან უნივერსალურ შიდაწევისძრავიან სატვირთელებს უშვებს.

(სომხინფორმი).

## ჩვენი დიადი სამშობლო

### არსენიევის უცნობი რუკა

**ვლადივოსტოკი,** 30 აგვისტო. (საქინფორმის კორ.). საინტერესო ექსპონატი აღმოაჩინეს ზღვისპირეთის სამხარეო სახელმწიფო არქივში. 1919-1924 წლებში შორეული აღმოსავლეთის ცნობილმა მკვლევარმა ვ. კ. არსენიევმა შეადგინა შორეული აღმოსავლეთის წყლებში ზღვის ცხოველთა გავრცელების რუკა-სქემა. რუკას საფუძვლად დაედო არსენიევის პირადი დაკვირვების მონაცემები. არსენიევმა ბევრი იმოგზაურა ზღვით. ამ მოგზაურობის დროს იგი სწავლობდა სელაპების, ზღვის მწავების, ზღვის ლომების ცხოვრებას. არსენიევის ჩანაწერები გვიამბობენ ზღვის ნადირის გავრცელების საზღვრებზე.

## ორი ათასი სიახლე

**ძერჟინსკის** სახელობის მანქანათსაშენებელი ქარხნის რაციონალიზაციისა და გამომგონებლობის ბიუროში შეიდწლედის დამდეგიდან აღრიცხულია სათვალავით მე-2000 ნოვატორული წინადადება. წინადადების ავტორია მირზა-ქერიმ მირზოევი. იგი წარსულში ხარატი იყო ახლა კი მექანიკური სარემონტო საამქროს უფროსია. მან შექმნა ორიგინალური საშუალება უმილო სიღრმისეული ტუმბოს დანადგარის ერთ-ერთი წამყვანი დეტალის თერმული დამუშავების ხარისხის შესამოწმებლად.

ეს მირზა-ქერიმ მირზოევის პირველი წინადადება როდია.

(აზინფორმი).

## მეშახტეთა სახელოვანი შრომა

**მოსკოვში** საბჭოთა არმიის ცენტრალურ თეატრში გაიმართა მეშახტის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა. თეატრის დარბაზში შეიკრიბნენ ჩვენი ქვეყნის ყველა ქვანახშირის აუზის სათბობის მრეწველობის მეთაურები და ორგანიზატორები, წარმოების ნოვატორები და მოწინავეები.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული სათბობის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ, სსრ კავშირის მინისტრმა ნ. ვ. მელნიკოვმა თავის მოხსენებაში ილაპარაკა ჩვენი ქვეყნის ქვანახშირის აუზების მუშაობაზე, სახალხო მეურნეობის ამ დიდმნიშვნელოვანი დარგის განვითარების პერსპექტივაზე. უახლოეს წლებში საბჭოთა კავშირის აღმოსავლეთ რაიონებში განზრახულია ათობით ქვანახშირის საწარმოს აშენება და რეკონსტრუქცია. უწინარეს ყოვლისა განვითარდება სათბობის ღია ამოღების მეთოდი.

სხდომას დაესწრო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე პ. თ. ლომაკო.

სხდომის დასასრულს გაიმართა საზეიმო კონცერტი. (საქინფორმი).

## მოდის ახალი პური

**ტაჯიკეთის** სსრ კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა სახელმწიფოს მიჰყიდეს 31 ათასი ტონა მარცვალი, გეგმა შეასრულეს 108 პროცენტით. სახელმწიფოსათვის სასურსათო მარცვლის გეგმის გადაჭარბებით მიყიდვა გრძელდება.

რესპუბლიკაში წარმატებით შესრულდა აგრეთვე კრაველისა და აბრეშუმის პარკის დამზადების გეგმები. (საქინფორმი).

# მოგილოცავთ, მეგობრებო!

# ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

**სახალხო** განათლების დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის მიენიჭოთ საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდება:

1. **აბაშიძეს** გიორგი მინას-ძეს — პენსიონერს.
2. **აბაშიძეს** ქეთევან გიორგის ასულს — მარნეულის რაიონის თამარისის საშუალო სკოლის მასწავლებელს.
3. **აბგაროვას** ანა ფარნაოზის ასულს — თბილისის მე-6 მუსიკალური სკოლის მასწავლებელს.
4. **აბულაძეს** ვერა ანტონის ასულს — ზესტაფონის რაიონის კლდეეთის რვაწლიანი სკოლის მასწავლებელს.
5. **აბუსერიძეს** ლუბა იოსების ასულს — თეთრი წყაროს საბავშვო ბაღის გამგეს.
6. **აივაზიშვილს** მიხეილ მიხეილის-ძეს — თელავის რაიონის განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორს.
7. **აზნავურიანს** მკრტიჩ არამის-ძეს — ახალქალაქის რვაწლიანი სკოლის დირექტორს.
8. **აიზენბერგს** ასია ზინოვის ასულს — თბილისის მე-4 მუსიკალური სკოლის მასწავლებელს.
9. **ალანიას** ვერა ილიას ასულს — თბილისის 47-ე საშუალო სკოლის მასწავლებელს.
10. **ამირხანოვს** ბორის ბაგრატის-ძეს — თბილისის მე-9 მუსიკალური სკოლის მასწავლებელს.
11. **ანჯელიანს** სიმონ არშაკის-ძეს — ახალციხის მესამე საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეს.
12. **არევაძეს** ლუბა ალექსანდრეს ასულს — გარდაბნის რკინიგზის № 33 დაწყებითი სკოლის გამგეს.
13. **არველაძეს** ქეთევან გიორგის ასულს — ქუთაისის რკინიგზის № 23 საბავშვო ბაღის გამგეს.
14. **ართმელაძეს** ქრისტე სეიდის ასულს — ქობულეთის რაიონის ხუცუბნის დაწყებითი სკოლის გამგეს.
15. **არუთინიანს** ანუშავან ხაჩატურის-ძეს — თბილისის 95-ე საშუალო სკოლის დირექტორს.
16. **არჩვაძეს** არჩილ ნიკოლოზის-ძეს — თბილისის 65-ე საშუალო სკოლის მასწავლებელს.
17. **ასათიანს** ელენე აბრამის ასულს — თბილისის რკინიგზის № 1 საბავშვო ბაღის აღმზრდელს.
18. **ახობაძეს** მარიამ ბესარიონის ასულს — თბილისის დ. არაყიშვილის სახელობის პირველი მუსიკალური სასწავლებლის პედაგოგს.
19. **ბაკაშვილს** ილია იასონის-ძეს — გურჯაანის საშუალო სკოლის დირექტორს.
20. **ბაკურაძეს** ისაკ მეთოდეს-ძეს — პენსიონერს.
21. **ბარბაქაძეს** მანუილ ლავრენტის-ძეს — ქუთაისის მესამე საშუალო სკოლის მასწავლებელს.
22. **ბასილაშვილს** გერონტი ისაკის-ძეს — თბილისის მე-12 საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეს.
23. **ბაუმბერგს** ბორის დავითის-ძეს — თბილისის 81-ე საშუალო სკოლის მასწავლებელს.
24. **ბახტაძეს** შალვა გრიგოლის-ძეს — თბილისის მუშა-ახალგაზრდობის რესპუბლიკური დაუსწრებელი საშუალო სკოლის მასწავლებელს.
25. **ბებურიშვილს** ნინო ნიკოლოზის ასულს — თბილისის 37-ე საშუალო სკოლის მასწავლებელს.
26. **ბეჟანიშვილს** ანა სიმონის ასულს — თბილისის № 47 საბავშვო ბაღის აღმზრდელს.
27. **ბეროშვილს** სიმონ მიხეილის-ძეს — პენსიონერს.
28. **ბეროძეს** ელფრიდა ივანეს ასულს — პენსიონერს.
29. **ბერძულიშვილს** დავით პლატონის-ძეს — ტყიბულის მუშა-ახალგაზრდობის პირველი საშუალო სკოლის მასწავლებელს.
30. **ბორისენკოს** ივანე ანდრიას-ძეს — ა/კ სამხედრო ოლქის პოლიტსამმართველოს სასკოლო ინსპექტორს.
31. **ბორისოვსკაიას** ლიდა აბრამის ასულს — თბილისის მე-9 მუსიკალური სკოლის მასწავლებელს.
32. **ბუცხრიკიძეს** ტატიანა ანტონის ასულს — თბილისის 58-ე საშუალო სკოლის მასწავლებელს.
33. **გაბელიას** თამარ გერასიმეს ასულს — თბილისის რკინიგზის № 4 საბავშვო ბაღის გამგეს.
34. **გაბიტაშვილს** გაბრიელ ნიკოლოზის-ძეს — თბილისის 53-ე საშუალო სკოლის მასწავლებელს.
35. **გაბუნიას** თამარ ალექსანდრეს ასულს — ფოთის მე-6 საშუალო სკოლის დირექტორს.
36. **გაგლოევს** ალექსანდრე ვასილის-ძეს — ხაშურის რაიონის განათლების განყოფილების მეთოდისტს.
37. **გამყრელიძეს** პავლე კონსტანტინეს-ძეს — თბილისის მე-15 საშუალო სკოლის მასწავლებელს.
38. **გეგენავას** ელპიდა ნოეს ასულს — გალის რაიონის ოხურეის რვაწლიანი სკოლის მასწავლებელს.
39. **გევონდიანს** მარიამ ეფრემის ასულს — თბილისის მე-6 მუსიკალური სკოლის მასწავლებელს.
40. **გერსამიას** ანა თადეოზის ასულს — პენსიონერს.
41. **გვალიას** დავით იონას-ძეს — თბილისის მანქანათმშენებლობის ტექნიკუმის მასწავლებელს.
42. **გვაჯიას** თამარ მიხეილის ასულს — ფოთის პირველი საშუალო სკოლის მასწავლებელს.
43. **გვენცაძეს** სიმონ ნესტორის-ძეს — ამბროლაურის რაიონის ბარეულის რვაწლიანი სკოლის მასწავლებელს.
44. **გიგინეიშვილს** ზინა რომანოზის ასულს — ბათუმის მე-9 საშუალო სკოლის მასწავლებელს.
45. **გობრონიძეს** ვალერიან ვლადიმერის-ძეს — მახარაძის პირველი საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეს.
46. **გოგელიას** ალექსი სოლომონის-ძეს — ქუთაისის ქალაქის განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორს.
47. **გოგოლაძეს** ვლადიმერ ექვთიმეს-ძეს — პენსიონერს.
48. **გოგოლაძეს** ილია დავითის-ძეს — ორჯონიკიძის რაიონის ვერტყვიჭალის საშუალო სკოლის მასწავლებელს.
49. **გოგოხიას** ლეონტი ზოსიმეს-ძეს — თბილისის 85-ე საშუალო სკოლის მასწავლებელს.
50. **გოგუაძეს** აკაკი ანანიას-ძეს — თბილისის საქალაქო პედ. კაბინეტის მეთოდისტს.
51. **გოგუაძეს** მიხეილ ისაკის-ძეს — თბილისის 112-ე საშუალო სკოლის დირექტორს.
52. **გოლეთიანს** პლატონ ანტონის-ძეს — პენსიონერს.
53. **გორგოძეს** მოსე საულის-ძეს — მაიაკოვსკის მუშა-ახალგაზრდობის საშუალო სკოლის დირექტორს.
54. **გოფმანს** თამარ დავითის ასულს — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უფროს მასწავლებელს.
55. **გრძელიშვილს** ანტონინა სიგიზმუნდის ასულს — თბილისის მე-4 მუსიკალური სასწავლებლის პედაგოგს.
56. **გურგენიძეს** ნიკოლოზ ზაქარიას-ძეს — გორის რაიონის მეჯვრისხევის საშუალო სკოლის მასწავლებელს.
57. **გუჯაბიძეს** ნადია გიორგის ასულს — ქუთაისის პირველი საშუალო სკოლის მასწავლებელს.
58. **დარახველიძეს** თამარ იოსების ასულს — თბილისის 29-ე საშუალო სკოლის მასწავლებელს.
59. **დარახველიძეს** შოთა მიხეილის-ძეს — თბილისის ი. გოგებაშვილის სახელობის პედსასწავლებლის დირექტორს.
60. **დარჯანიას** სტეფანე პავლეს-ძეს — გეგეჭკორის რაიონის ონოღიის საშუალო სკოლის დირექტორს.
61. **დოვლატბეგოვს** გიორგი სერგის-ძეს — თბილისის მე-2 მუსიკალური სკოლის მასწავლებელს.
62. **ენიკოლოპოვას** ანაიდა ვასილის ასულს — თბილისის მე-9 საშუალო სკოლის მასწავლებელს.
63. **ენუქიძეს** ნიკოლოზ სპირიდონის-ძეს — თბილისის 36-ე საშუალო სკოლის დირექტორს.
64. **ერქომაიშვილს** გიორგი გიორგის-ძეს — თბილისის 66-ე საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეს.
65. **ელერდაშვილს** ელენე ლაზარეს ასულს — თბილისის 58-ე საშუალო სკოლის მასწავლებელს.
66. **ერქომაიშვილს** თამარ ყარამანის ასულს — მახარაძის ჩაის მრეწველობის ტექნიკუმის მასწავლებელს.
67. **ესაძე-უგლავას** ზინა სერაფიონის ასულს — ქუთაისის მაუდის ფაბრიკის საბავშვო ბაღის გამგეს.
68. **ვაშაკიძეს** გრიგოლ ისიდორეს-ძეს — სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის წულუკიძის ტექნიკუმის დირექტორს.
69. **ვაშაკიძეს** ივანე კონსტანტინეს-ძეს — ქუთაისის მე-8 საშუალო სკოლის დირექტორს.
70. **ვორობეიჩიკს** იაკობ მოსეს-ძეს — თბილისის 83-ე საშუალო სკოლის დირექტორს.
71. **ზურაბოვს** სერგო გრიგოლის-ძეს — თბილისის 31-ე საშუალო სკოლის მასწავლებელს.
72. **თათეიშვილს** ელენე ნიკოლოზის ასულს — ქუთაისის მე-20 საშუალო სკოლის მასწავლებელს.
73. **თოდრიას** მიხეილ თომას-ძეს — ჩოხატაურის რაიონის განათლების განყოფილების მეთოდური კაბინეტის გამგეს.
74. **თოფურიძეს** მარგალიტა იოსების ასულს — თბილისის მანქანათმშენებლობის ტექნიკუმის მასწავლებელს.
75. **თოფურიძეს** ნინო კონსტანტინეს ასულს — საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მსუბუქი მრეწველობის სამმართველოს თბილისის № 7 სამკერვალო ფაბრიკის საბავშვო ბაღის გამგეს.
76. **კალანდაძეს** გრეტა ანდრიას ასულს — თბილისის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის უფროს მასწავლებელს.
77. **კალანტარიანს** აშოტ კარაპეტის-ძეს — სოხუმის მე-9 საშუალო სკოლის მასწავლებელს.
78. **კალაძეს** დავით ივანეს-ძეს — სამტრედიის რაიონის მელაურის რვაწლიანი სკოლის მასწავლებელს.
79. **კანკიას** პოლიკარპე მიხეილის-ძეს — თბილისის მე-18 საშუალო სკოლის მასწავლებელს.
80. **კარსკაიას** გალინა სტეფანეს ასულს — თბილისის დ. არაყიშვილის სახელობის პირველი მუსიკალური სასწავლებლის პედაგოგს.
81. **კასოვსკაიას** ნინო ზაალის ასულს — თბილისის მე-4 მუსიკალური სკოლის მასწავლებელს.
82. **კაშიას** ვლასი კონსტანტინეს-ძეს — თბილისის მე-5 საშუალო სკოლის დირექტორს.
83. **კაშიას** სევერიანე ტარიელის-ძეს — თბილისის პირველი საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეს.
84. **კეკელიძეს** ელისაბედ ზაქარიას ასულს — თბილისის დ. არაყიშვილის სახელობის პირველი მუსიკალური სასწავლებლის პედაგოგს.
85. **კახაიას** არჩილ ბესარიონის-ძეს — ქუთაისის მე-17 საშუალო სკოლის დირექტორს.
86. **კევლიშვილს** ელენე იოსების ასულს — თბილისის № 3 საბავშვო ბაღის აღმზრდელს.
87. **კეშელავას** ზინა ანდრიას ასულს — ჩოხატაურის რაიონის შუაფარცხმის დაწყებითი სკოლის გამგეს.
88. **კვაჭაძეს** გიორგი მახარობლის-ძეს — თბილისის მე-13 საშუალო სკოლის დირექტორს.

(დასასრული მე-2 გვერდზე)

# რთველი გვიხმობს!



**მოდის** დიდი შემოდგომა, ახლოვდება ბარაქიანი რთველი. შემოდგომა ხომ მევენახის მთელი წლის ნაჯაფარის შეჯამების პერიოდია. ამიტომ არის, რომ კარგი მევენახისათვის ეს დრო დიდი სიხარულის მომნიჭებელი ზეიმია. რატომაც არა! გლეხი ხომ თავის შემოქმედებითს ნიჭსა და უნარს, გარჯას ვაზში აქსოვს. მთელ წელიწადს დაუზარებლად უვლის, ეფერება ამ მზისა და სიცოცხლის მცენარეს. ვინ მოთვლის, მეზვრე ყოველ ვაზთან წელიწადში რამდენჯერ მიდის: მიწის დამუშავება, ვაზის გადაწვენა, გასხვლა, შეყელვა, შაბიამნის ხსნარის შესხურება, გოგირდის შეფრქვევა, ფურჩვნა, ახვევა, ნამხრევის შეცლა, წვერების წაწყვეტა, ცის გახსნა... ამიტომაც უთქვამს ხალხს: „ვაზო შვილივით ნაზარდო". მევენახე მართლაც რომ შვილივით პატრონობს ვაზს — დოვლათის, სიუხვისა და სიმდიდრის ამ დაუშრეტელ წყაროს, სოფლის მშრომელთა ოჯახების გამხარებელს.

შემოდგომა პირველი სექტემბრიდან იწყება, ამავე დროს ირეკება სკოლის პირველი ზარიც და იწყება სახელოო გაზაფხული. შემოდგომა თუ სკოლის ცხოვრებაში სასწავლო წლის დასაწყისი, ანუ მისი გაზაფხულია, მევენახისათვის ეს პერიოდი ნაშრომ-ნაღვაწის შეჯამებების დროა, რთვლის დროა.

მაგრამ ვიდრე რთველი დაიწყებოდეს, მევენახეები, სოფლის თავკაცები, მევენახეობის რაიონების ხელმძღვანელები ამ მეტად პასუხსაგები კამპანიისათვის საგულდაგულოდ ემზადებიან. ნათქვამია, მოსავალი ის არის, რაც მარანშია.

რესპუბლიკის მევენახეები მიმდინარე წლისათვის, შვიდწლედის დამაგვირგვინებელი წლისათვის მთელ წელიწადს საგულდაგულოდ შრომობდნენ. 280.000 ტონა ყურძნისათვის გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრების ფინიში — რთველი ახლოვდება. სწორედ ახლა გამოჩნდება, ვინ როგორ იშრომა, ვინ რა გააკეთა სამშობლოს საკეთილდღეოდ, ვინ რამდენ ყურძენს მიიტანს სახელმწიფო მარანში, ვინ ისახელებს თავს.

რთვლის დაწყებამდე არცთუ დიდი დროა დარჩენილი. ამიტომ ურიგო არ იქნება მევენახეობის რაიონების ხელმძღვანელთა ბ ა მ, თვითეულმა მევენახემ, მემარნემ ერთხელ კიდევ შეამოწმოს, ხომ არ დარჩა რამე გასაკეთებელი, გასაკეთებელი კი ბევრია. როგორც შემოწმებიდან ცხადი გახდა, წელს ყურძნის უხვი მოსავალი იქნება, იმაზე მეტი, ვიდრე უხვმოსავლიან 1962 წელს იყო. ამიტომ საჭიროა დარჩენილ დროში საკმაო რაოდენობით მოიმარაგონ ტარა, ყურძნის შეუფერხებლად მიღებისათვის გაამზადონ ნედლეულის გადასამუშავებელი მანქანა-დანადგარები, შეაკეთონ ტრანსპორტი, ვენახებში მისასვლელი გზები, მოიმარაგონ ყურძნის საკრეფი დანები, კალათები, დააკომპლექტონ მკრეფავთა ბრიგადები და რგოლები. აქვე უნდა გავახსოვდეს, რომ ღვინის მაღალხარისხიანობისათვის ბრძოლაში ერთ-ერთი გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ყურძნის დროულად და წესების ზუსტად დაცვით კრეფას.

გეგმის მიხედვით სამტრესტის პირველადი მეღვინეობის საწარმოებმა წელს 224 ათასი ტონა ყურძენი უნდა გადაამუშაონ. სამტრესტის 40 საქარხნო სამმართველომ და საწარმომ 160 მილიონზე მეტი ლიტრი ღვინო უნდა დააყენოს. ეს მეღვინეობის მრეწველობის მუშაკთა დაძაბულ და შემოქმედებით შრომას მოითხოვს.

მიმდინარე წლის ყურძნის მოსავლის მიღებისათვის მზადება სამტრესტის უმეტეს საწარმოებში დამთავრდა. ტექნოლოგიური მოწყობილობის, ტარისა და ნაგებობათა რემონტი ბევრგან მაღალხარისხოვნად და დროულად შესრულდა. ამ მხრივ ქების ღირსი არიან ვარციხის, კარდანახის, ყვარლის, ხირსის, ველისციხის და სხვა ქარხნები. აქ დასასრულს უახლოვდება კასრებისა და მანქანა-დანადგარების რემონტი. ხირსის, ახმეტის, მუკუზნისა და მთელ რიგ სხვა ქარხნებში ახალი ღვინის შესანახად დადგმულია რკინაბეტონის რეზერვუარები. შენდება ახალი ქარხნები, მიმღები პუნქტები წითელწყაროში, ტიბაანში, მუკუზანში, იყალთოში, ხუნევში, თერჯოლაში და სხვ.

რთველისათვის მზადებისა და ყურძნის შეუფერხებლად მიღება-გადამუშავების საქმეში ზოგან ჯერ კიდევ არის ნაკლოვანებები, რომლებიც სასწრაფოდ გამოსწორებას მოითხოვს. ცნობილია, რომ წელს ჩვენს დედაქალაქ თბილისში სექტემბრის პირველ რიცხვებში მოეწყობა ღვინოებისა და კონიაკების საერთაშორისო კონკურსი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს 27 ქვეყნის 158 ფირმა. სხვა ობიექტებთან ერთად მუკუზნისა და ოყამის ღვინის ქარხნებსაც დაათვალიერებენ კონკურსის მონაწილენი.

როგორც სამტრესტიდან გვაცნობეს, საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრომ მუკუზნისა და ოყამის ღვინის ქარხნებში სამუშაოები გააჭიანურა, რის გამო ყურძნის მიღება-გადამუშავების სეზონისათვის მზადყოფნა საფრთხეშია. ეს განსაკუთრებით ითქმის ოყამის ღვინის ქარხანაზე. გათვალისწინებულია, რომ აქ დღეღამეში გეგმით უნდა გადამუშავდეს 200 ტონა ყურძენი. ცხადია, ყურძნის მიღება-გადამუშავება შეფერხდება, ვინაიდან ჯერ კიდევ დასამთავრებელია ღვინის შესანახი რეზერვუარების, წყალგაყვანილობის, კანალიზაციისა და ქარხნის ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები. მუკუზნისა და ოყამის ღვინის ქარხნებს მეტი და დროული ყურადღება უნდა მიექცეს.

ყურძნის უდანაკარგოდ აღება ყველა მშრომელის საპატიო საქმეა. ყოველი მტევანი ყურძენი, ყოველი მარცვალი მარანში უნდა დავაბინაოთ. ამ საქმეში უსულგულობა დანაშაულია. ყველამ კარგად იცის, მეზვრე მთელი წლის განმავლობაში ვენახში რა კოლოსალურ სამუშაოს ასრულებს. ამ რამდენიმე წლის წინათ ხირსის საბჭოთა მეურნეობაში ჩვენს რესპუბლიკაში პირველად დაინერგა მოკრეფილი ყურძნის გადატანა ვენახიდან ქარხნამდე სპეციალური ავტოძარის საშუალებით. ამ წესით ყურძნის გადატანის დროს მინიმუმამდე მცირდება წვენის დანაკარგი. დანაკარგების წინააღმდეგ ბრძოლის ამ კარგ საშუალებას ყველგან როდი იყენებენ. სამტრესტს საკმაოდ აქვს ასეთი ავტოძარები, მაგრამ მათ ზოგიერთი საბჭოთა მეურნეობისა და კოლმეურნეობის ხელმძღვანელები უგულებელყოფენ, არ იყენებენ. ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელებმა ამ საქმეს მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ და წელს ყურძნის გადასატანად მაქსიმალურად გამოიყენონ სამტრესტში არსებული 180 ცალი სპეციალური ავტოძარა.

როგორც ყოველთვის, რთველი პირველად კახეთის რაიონებში იწყება. წელს აქაურმა მევენახეებმა სამშობლოს 110 ათას ტონაზე მეტი ყურძენი უნდა მისცენ. მოსალოდნელი კი უფრო მეტია. ამიტომ თელავის, ახმეტის, ყვარლის, გურჯაანის, სიღნაღის, საგარეჯოს და წითელწყაროს რაიონების პარტიულ და სამეურნეო ხელმძღვანელებს მეტი ზრუნვა მართებთ რთვლის აგროვადებში დამთავრებისა და ყურძნის შეუფერხებლად მიღება-გადამუშავებისათვის.

არავინ იცის, ეს მერამდენე რთველობაა, რომელსაც საქართველოს სახელოვანი მევენახეები ხვდებიან. ქართული ვენახისა და ღვინის დიდებისათვის ბრძოლა რესპუბლიკის მევენახეთა სახელისა და ღირსების საქმეა.

რთველი გვიხმობს, სოფლის მშრომელებო!

# პირველი ზარი ახალ სკოლებში

**ახალი სასწავლო წლის წინ**



ქ. სოხუმის მეორე საშუალო სკოლას წელს მიუშენეს 18 საკლასო ოთახიანი შენობა. ხვალ ამ შენობის ნათელ ოთახებში მერხებს მოუსხდებიან საზაფხულო არდადეგებიდან დაბრუნებული მოსწავლეები.

სურათზე: ქ. სოხუმის მეორე საშუალო სკოლის 18 საკლასო ოთახიანი ახალი შენობა.

ფოტო ს. კოროტკოვისა.

## კოლმეურნეობის ინიციატივით

**ოჩამჩირე.** (საქ. კორ.). შესანიშნავი საჩუქარი მიიღეს ოჩამჩირის რაიონის სოფელ ჯგერდის მოსწავლეებმა. ისინი პირველ სექტემბერს კარს შეაღებენ და მეცადინეობას დაიწყებენ საშუალო სკოლის ახალ შენობაში.

ამ სოფლის კოლმეურნეებმა სკოლის ასაშენებლად 66 ათასი მანეთი დახარჯეს. ამ მშვენიერ შენობაში, რომელსაც 17 საკლასო ოთახი აქვს, ისწავლის 320 მოსწავლე. სკოლას აქვს კარგად მოწყობილი ქიმიისა და ფიზიკის კაბინეტები, პიონერთა ოთახი. სკოლისათვის შეძენილ იქნა ახალი მერხები, საკლასო დაფები, ქიმიური და ფიზიკური ხელსაწყოები. ახალი სკოლა ელექტროფიცირებულია.

სკოლის დირექტორმა, აფხაზეთის ასსრ სკოლის დამსახურებულმა მასწავლებელმა მ. ამიჩბამ განაცხადა:

— ჩვენს სოფელში ამჟამად ექვსი სკოლაა: ერთი საშუალო, ერთი რვაწლიანი და ოთხი დაწყებითი. მათში 500-ზე მეტი ბავშვი სწავლობს. ყველასათვის სასიამოვნოა, რომ კოლმეურნეობები ასე ზრუნავენ თავიანთი ბავშვებისათვის.

## კარგი საჩუქარი

**ქობულეთი.** (საქ. კორ.). ჩაისუბნის ინტერნატის თეთრად შეფეთქილი მრავალსართულიანი კორპუსები შორიდანვე მიიპყრობს თქვენს ყურადღებას. ინტერნატი სოფლის ულამაზეს ადგილას არის აშენებული. ხავერდოვნად მობიბინე ველზე ნაძვის ტანაყრილი ხეები დარაჯებივით ჩამდგარან კორპუსების ირგვლივ. საითაც კი თვალი მიგიწვდებათ, ყველაფერი მწვანედ ბიბინებს. გაშლილ ველზე მდინარის ყრუ დუდუნი ისმის და გრილი ნიავი საამოდ უბერავს.

წინათ ეს ადგილი დაუსახლებელი იყო. 1961 წელს აქ ახალი კორპუსები აღიმართა და არემარე ბავშვთა ხალისიანმა ჟრიამულმა აავსო. 370 აღსაზრდელი ჩამოვიდა საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან. ისინი ისე შეეჩვივნენ ერთმანეთს, როგორც დიდი ოჯახის შვილები, აქ ატარებენ ხალისიან, შინაარსიან დღეებს, აქ შეისწავლეს ანბანა, აქ ეწაფებიან ცოდნის წყაროს.

ახალ სასწავლო წელს, როცა მოსწავლეები მშობლიურ ინტერნატს დაუბრუნდებიან, ბევრი რამ ახალი დახვდებათ. კლას-კაბინეტები და ლაბორატორიები ნივთებით შეივსო, მთავარ კორპუსს მიაშენეს ექვსი ოთახი და ვრცელი სააქტო დარბაზი, სადაც ნორჩი ტალანტები გამართავენ მხატვრულ ღონისძიებებს, გამოავლინებენ თავიანთ შემოქმედებით შესაძლებლობებს.



სურათზე: ჩაისუბნის სკოლა-ინტერნატის შენობის ხედი.

ფოტო ო. ნანიკაშვილისა. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პარტიული ცხოვრება

# უპრინციპობის სამწუხარო ნაყოფი

### პარტიის გორის საქალაქო კომიტეტის პლენუმზე

ყოველი ახალი დღე, ახალი საქმე ჩვენს ცხოვრებაში ზრდის მოთხოვნილებას კადრების მიმართ. ამიტომ, ბუნებრივია, რომ კადრების სწორად შერჩევა, მათი განაწილება და აღზრდა თვითეული პარტიული კომიტეტის, თვითეული პარტიული ორგანიზაციის პირველი რიგის ამოცანაა.

თავიანთ მოღვაწეობაში პარტიული კომიტეტები იყენებენ კადრების აღზრდის მრავალფეროვან ფორმებსა და მეთოდებს, ცდილობენ ყველა სამუშაო უბანზე გაგზავნონ იდეურად გამოწრთობილი, მარქსისტულ-ლენინური თეორიით შეიარაღებული, პრაქტიკული მოღვაწეობისათვის კარგად მომზადებული ადამიანები.

სწორედ ამ მნიშვნელოვანი საკითხის ირგვლივ გაიმართა მკაცრი და პრინციპული საუბარი ამ დღეებში საქართველოს კპ გორის საქალაქო კომიტეტის პლენუმზე. რაში იყო საქმე, რა იყო ამ მკაცრი და პრინციპული საუბრის მიზეზი?

პარტიის საქალაქო კომიტეტის პლენუმის მონაწილეებმა ყურადღებით მოისმინეს ცნობა გორის საქალაქო პარტიულ ორგანიზაციაში კადრებთან მუშაობისა და პარტიულ გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმების მიმდინარეობაზე. ამის შესახებ ილაპარაკა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგის მოადგილემ გ. ანდრონიკაშვილმა.

პლენუმზე აღინიშნა, რომ პარტიის გორის საქალაქო კომიტეტის მუშაობაში, კერძოდ კადრების შერჩევისა და აღზრდის საქმეში დაშვებულია სერიოზული შეცდომები, რამაც უარყოფითი გავლენა მოახდინა ქალაქის პარტიული და სამეურნეო ორგანიზაციების ცხოვრებაზე.

საქალაქო კომიტეტის ბიურო და მისი პირველი მდივანი მ. ილარიშვილი ვერ აღმოჩნდნენ მოწოდების სიმაღლეზე, იჩენდნენ მუშაობაში ლიბერალიზმსა და უპრინციპობას.

საქალაქო კომიტეტმა და პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა სათანადო ყურადღება როდი დაუთმეს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის 1963 წლის ოქტომბრის პლენუმის დადგენილების განხორციელებისათვის ბრძოლას, ამ დადგენილებაში კი ფართოდ იყო გაშუქებული კადრების შერჩევა-განაწილებისა და მათთან მუშაობის საკითხი.

მოკამათეებმა — პარტიის გორის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანმა ო. სოსანიძემ და სხვებმა აღნიშნეს, რომ პარტიის საქალაქო კომიტეტი ნაკლებ ყურადღებას აქცევდა სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ცალკეული რგოლების კადრებით განმტკიცებას, ამჟამად წარმოებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებების ხელმძღვანელების მეხუთედი მუშაობს არასპეციალობის მიხედვით.

ზოგჯერ ინჟინრის თანამდებობაზე მუშაობენ ისეთი პირები, რომლებსაც სპეციალური განათლება არ გააჩნიათ. მაგალითად, გორის ბამბეულის კომბინატში უკანასკნელი ორნახევარი წლის მანძილზე ინჟინრის თანამდებობაზე მომუშავეთა რიცხვი გაიზარდა 256-დან 288-მდე, უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტთა რიცხვი კი კვლავ 73 დარჩა. 1965 წლისათვის 1963 წელთან შედარებით პრაქტიკოსების რიცხვი 97-დან 110-მდე გაიზარდა.

განსაკუთრებით დარღვეულია კადრების შერჩევა-განაწილების პრინციპი სავაჭრო ორგანიზაციებში. 110 სავაჭრო ობიექტის ხელმძღვანელთა შორის უმაღლესი და სპეციალური საშუალო განათლების მქონე მხოლოდ 12 კაცი მუშაობს. სავაჭრო ორგანიზაციებში სულ 28 კომუნისტი და 12 კომკავშირელია დასაქმებული. ამასთანავე, ზოგიერთ პასუხსაგებ ობიექტზე მუშაობენ ადრე ნასამართლევი პირები, რომელთა უმრავლესობა კეთილსინდისიერებას არ იჩენს. საკითხავია, რატომ გამოუცხადეს მათ ნდობა სავაჭროების პარტიულმა ორგანიზაციებმა?

სწორედ ამის შედეგად გორის სავაჭრო ორგანიზაციებში გაიფლანგა და დატაცებულ იქნა დიდი სახელმწიფო სახსრები. მარტო უნივერსალური მაღაზიის საგალანტერეო საწყობში 41 ათასი მანეთის გაფლანგვა-დატაცება გამოაშკარავდა.

თავის გამოსვლაში ბამბეულის კომბინატის პარტიული კომიტეტის მდივანმა ე. ბუთხუზმა თქვა, რომ ქალაქის სავაჭრო მაღაზიები, ფარდულები, კიოსკები განლაგებულია მოუხერხებელ ადგილებში, არა აქვს სავაჭრო ობიექტის სახე. განსაკუთრებით აღმაშფოთებელია ის ფაქტი, რომ დარღვეულია სავაჭრო ნორმები, ხშირია მომხმარებელთა მოტყუება ზომა-წონაში და გამოძალვა.

პარტიის გორის საქალაქო კომიტეტის წაყრუებით და უკონტროლობით უკანასკნელ წლებში კვლავ მნიშვნელოვანი რაოდენობითაა სისხლის სამართლის და სახელმწიფოებრივი დანაშაულობანი. ეს იმითაც არის გამოწვეული, რომ მილიციის ზოგიერთი თანამშრომელი არაკეთილსინდისიერად ეკიდება თავისი მოვალეობის შესრულებას.

საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე მ. ლაცაბიძე თავის გამოსვლაში პლენუმზე შეჩერდა ნაკლოვანებებზე საქალაქო საბჭოს აღმასკომის მუშაობაში. მან თქვა, რომ მრავალ დარღვევებს ჰქონდა ადგილი ინდივიდუალური ბინების მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთების გამოყოფის საქმეში.

პლენუმზე აგრეთვე აღნიშნეს, რომ ნაკლები ყურადღება ეთმობოდა სამრეწველო საწარმოების ტექნიკური დონის ამაღლებას და ეკონომიური მაჩვენებლების გაუმჯობესებას. არ ჩანდა წარმოებაში კომუნისტთა ავანგარდული როლი. ნაკლებ ყურადღებას უთმობდნენ ახალგაზრდა კადრების აღზრდას და პარტიულ-სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებას.

უკანასკნელ წელიწადნახევარში პარტიის საქალაქო კომიტეტმა თავის სხდომებზე განიხილა 23 საკითხი, რომლებიც გორის ბამბეულის კომბინატს და მის პარტიულ ორგანიზაციებს შეეხებოდა, მაგრამ სასურველ შედეგს ვერ მიაღწია. კვლავ არ სრულდებოდა ასორტიმენტის გეგმა, ვერ აამოქმედეს შიდარეზერვები, სუსტად იბრძვიან რენტაბელობისათვის, ბევრია არასაწარმოო დანახარჯები, დაბალ დონეზეა შრომის დისციპლინა.

მიუხედავად ამისა, პარტიის საქალაქო კომიტეტი და პირველადი პარტიული ორგანიზაციები სუსტად ავითარებენ კრიტიკასა და თვითკრიტიკას, არ იჩენენ პრინციპულობას, მაღალ მომთხოვნელობას ზოგიერთი ამხანაგის მიმართ.

არადამაკმაყოფილებელია ზრუნვა პირველადი პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის ამაღლებისათვის. პარტიის საქალაქო კომიტეტს პარტორგანიზაციების ერთი მესამედიც კი არ შეუმოწმებია საფუძვლიანად, არ უმსჯელია მათს მუშაობაზე, მაშინ როცა ბევრი მათგანი საკმაო ბრძოლისუნარიანობასა და მიზანსწრაფულობას ვერ იჩენდა.

კომკავშირის გორის საქალაქო კომიტეტის მდივანმა დ. გუდაძემ თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ კომკავშირის საქალაქო კომიტეტი მთელ რიგ საკითხებს ნაჩქარევად სწავლობს და განიხილავს, რომ კომკავშირულ ორგანიზაციებში ჯერ კიდევ სუსტია ცოცხალი, შემოქმედებითი მუშაობა. მეტად დამაფიქრებელია თვით ის ფაქტი, რომ 215 კომკავშირელი ამჟამად არსად არ მუშაობს. მან გააკრიტიკა ქალაქის პარტიული ორგანიზაციები, რადგან მათ მხრივ კომკავშირულ ორგანიზაციებს სათანადო ხელმძღვანელობა და დახმარება აკლიათ.

პლენუმზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა პ. ა. როდიონოვმა. მან პლენუმის მონაწილეთა ყურადღება გაამახვილა კადრების შერჩევისა და აღზრდის, მათი სწორად განაწილების, მიღებულ დადგენილებათა შესრულების შემოწმების გაუმჯობესების საკითხებზე. ხაზგასმით აღნიშნა, რომ კრიტიკისა და თვითკრიტიკის შეუფასებლობა, უპრინციპობა, პარტიული და სახელმწიფოებრივი დისციპლინის შესუსტება და ზოგიერთ საჭირბოროტო საკითხისადმი ლიბერალური მიდგომა ძირითადი მიზეზებია, რომლებმაც განაპირობა პარტიის გორის საქალაქო კომიტეტისა და მისი პირველი მდივნის მ. ილარიშვილის სერიოზული შეცდომები.

სწორედ ამიტომ, მუშაობაში დაშვებული შეცდომებისა და სერიოზული ნაკლოვანებებისათვის, პლენუმმა საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნის მოვალეობისაგან გაათავისუფლა და ბიუროს შემადგენლობიდან გამოიყვანა მ. ილარიშვილი.

პლენუმმა განხილულ საკითხზე მიიღო კონკრეტული დადგენილება. ამ დადგენილებაში სწორი პარტიული შეფასება აქვს მიცემული პარტიის საქალაქო კომიტეტის მუშაობას. პლენუმმა საქალაქო კომიტეტსა და მის ბიუროს დაავალა გადაჭრით შეცვალონ მუშაობის სტილი და მეთოდები, ყოველმხრივ განავითარონ კრიტიკა და თვითკრიტიკა არა სიტყვით, არამედ საქმით. აღკვეთონ დარღვევები კადრების შერჩევაში, მუდმივად აამაღლონ თვითეული მუშაკის პასუხისმგებლობა მინდობილი საქმისათვის, ყოველმხრივ განამტკიცონ პარტიული და სახელმწიფოებრივი დისციპლინა, სათანადო ყურადღება დაუთმონ შესრულების შემოწმებისადმი კონტროლს.

რ. ბასილაშვილი,
გ. ცერაძე,

## კომუნისტთა აქტივობით

ქუთაისი. (საკ. კორ.). პარტიის საქალაქო კომიტეტმა განიხილა ქალაქის პირველად პარტიულ ორგანიზაციებში ანგარიშგება-არჩევნების მიმდინარეობის საკითხი. აღინიშნა, რომ დღემდე საანგარიშო-საარჩევნო კრებები მოეწყო ქალაქის 29 პირველად პარტიულ ორგანიზაციაში.

ამ ორგანიზაციებში კრებებზე დამსწრე კომუნისტებიდან საანგარიშო მოხსენებათა გამო კამათში მონაწილეობა მიიღო 179 კაცმა, ანუ 34 პროცენტმა.

კრებები მიმდინარეობს მაღალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე, შინაპარტიული დემოკრატიის ზუსტად დაცვით. საანგარიშო მოხსენებებსა და კამათის მონაწილეთა გამოსვლებში ღრმა ანალიზი აქვს გაკეთებული სახელმწიფო გეგმების შეუსრულებლად განხორციელებულ ღონისძიებებს. ამასთან ერთად კომუნისტები ყურადღებას ამახვილებენ მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებზე, აყენებენ კონკრეტულ წინადადებებს და სახავენ ქმედით ღონისძიებებს პარტიულ-ორგანიზაციულ, პარტიულ-პოლიტიკურ და სამეურნეო საქმიანობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

პარტიის საქალაქო კომიტეტმა აგრეთვე მიუთითა, რომ საანგარიშო-საარჩევნო კრებების მოწყობის საქმეში არის ნაკლოვანებებიც, რომელთა გამოსწორებისათვის სათანადო ღონისძიებანი დაისახა.

## „საქართველოს კომუნისტი" №8

გამოვიდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თეორიული და პოლიტიკური ჟურნალის „საქართველოს კომუნისტის" [illegible]

[illegible] კომუნიზმი; მაღალორგანიზებულად მოვაწყოთ პარტიული ორგანოების ანგარიშგება-არჩევნები და პარტიული კონფერენციები; ქ. ჯოხიძე — მარად ცოცხალი აზრები; დ. კალანდაძე — ობიექტურისა და სუბიექტურის დიალექტიკა საზოგადოების განვითარებაში; ზ. მეზვრიშვილი — მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდა იდეოლოგიური მუშაობის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა; ბ. დობორჯგინიძის სტატია — გენიალური შემოქმედი და მოაზროვნე.

განყოფილებაში „ლექცია და კონსულტაცია" გამოქვეყნებულია ვ. რეხვიაშვილის სტატია — მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება პარტიის შესახებ.

„პარტიული ცხოვრების" განყოფილებაში დაბეჭდილია: შ. ხვადაძე — პარტიული ბიურო კოლექტიური ხელმძღვანელობის ორგანოა; ბ. მელქაძე, გ. დობორჯგინიძე: სახალხო კონტროლის ძირეული რგოლების ღირსების საქმე; ი. იონესიანი, ე. ხელაძე — სოციალისტური კანონიერების დაცვის კომისია საზოგადოებრივ საწყისებზე; რა უნდა ვიცოდეთ პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობის საკითხებზე.

## ეხმარებიან ახალგაზრდა მუშაკებს

შვიდასამდე ახალგაზრდა მუშაობს ლენინის სახელობის მაღაროში. ზოგიერთი მათგანი არღვევდა დისციპლინას, ვერ ასრულებდა გეგმას. მაღაროს პარტიულმა კომიტეტმა იმსჯელა ამის შესახებ. გამოირკვა, რომ ახალგაზრდობას შორის შრომისა და საწარმოო დისციპლინის დარღვევა გამოწვეული იყო არადამაკმაყოფილებელი აღმზრდელობითი მუშაობით. პარტიულმა კომიტეტმა განახორციელა მთელი რიგი ღონისძიებანი, რომელთა შედეგად ამაღლდა აღმზრდელობითი მუშაობა და ახალგაზრდობის შემოქმედებითი აქტივობა.

ახალგაზრდობისათვის მოეწყო ლექცია-საუბრები თემებზე „შრომის მტკიცე დისციპლინა — შრომის დიდი ნაყოფიერების საფუძველია", „ახალგაზრდობის კულტურული ყოფაცხოვრება", „გეგმის შესრულება ყველა ახალგაზრდის ღირსების საქმეა" და სხვ.

ამას წინათ ახალგაზრდობის ძალებით მაღაროში გაიმართა ლიტერატურული საღამო, რომელიც მიეძღვნა აკაკი წერეთლისა და ვაჟა ფშაველას შემოქმედების განხილვას. ამ დღეებში მოეწყო მკითხველთა კონფერენცია.

აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესების შედეგად ამაღლდა ახალგაზრდობის ავანგარდული როლი. ახლა გეგმას ყველა ახალგაზრდა ასრულებს, უკანასკნელ ხანებში აღმოიფხვრა დისციპლინის დარღვევის შემთხვევები. (საქინფორმი).

ქ. ჭიათურა.

# ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

### დასასრული

89. კილასონიას ალექსანდრა ნიკოლოზის ასულს — თბილისის მე-3 მუსიკალური სკოლის მასწავლებელს.
90. კლდიაშვილს ევგენია ბესარიონის ასულს — თბილისის მე-17 საშუალო სკოლის მასწავლებელს.
91. კორძახიას რაფიელ მანუჩარის-ძეს — თბილისის მე-4 საშუალო სკოლის მასწავლებელს.
92. კუბლაშვილს ნესტორ ასლანის-ძეს — პენსიონერს.
93. კუკულაძეს ნუნუ (ნინო) ნოეს ასულს — თბილისის დ. არაყიშვილის სახელობის პირველი მუსიკალური სასწავლებლის პედაგოგს.
94. კუკულდავას ალექსანდრე გიორგის-ძეს — თბილისის მე-6 საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეს.
95. კუტივაძეს აკაკი ივანეს-ძეს — თბილისის 54-ე საშუალო სკოლის მასწავლებელს.
96. კუჭუხიძეს ნადეჟდა საბას ასულს — თბილისის მე-7 საშუალო სკოლის მასწავლებელს.
97. კუხიანიძეს ელენე ბართლომეს ასულს — მ. ბალანჩივაძის სახელობის ქუთაისის პირველი მუსიკალური სკოლის მასწავლებელს.
98. ლალიაშვილს გიორგი ალექსის-ძეს — ხაშურის მე-2 საშუალო სკოლის მასწავლებელს.
99. ლოლაძეს დავით მათეს-ძეს — თბილისის მანქანათმშენებლობის ტექნიკუმის მასწავლებელს.
100. ლოლაძეს იულია მიხეილის ასულს — ზესტაფონის მეორე საბავშვო ბაღის გამგეს.
101. ლოლუას თამარ იოსების ასულს — სოხუმის მუსიკალური სკოლის მასწავლებელს.
102. ლომსაძეს მარიამ ივანეს ასულს — ახალციხის მეორე რუსული საშუალო სკოლის მასწავლებელს.
103. მამიშვილს ეკატერინე ალექსანდრეს ასულს — გორის პირველი საშუალო სკოლის მასწავლებელს.
104. მამედოვს ქიამილ ფირამაზ ოღლის — მარნეულის რაიონის განათლების განყოფილების მეთოდური კაბინეტის გამგეს.
105. მამიკონიანს ჯულიეტა სტეფანეს ასულს — თბილისის მხატვრული თვითმოქმედების კულტურის საგანმანათლებლო სასწავლებლის პედაგოგს.
106. მანჩხაშვილს გიორგი ილიას-ძეს — ხაშურის რაიონის ქვიშხეთის საშუალო სკოლის მასწავლებელს.
107. მარგიევს ქარუმ ნიკოლოზის-ძეს — პენსიონერს.
108. მაღლაკელიძეს ვახტანგ გიორგის-ძეს — თბილისის ცენტრალური მუსიკალური სკოლის მასწავლებელს.
109. მეგრელიძეს ამირან იაგორის-ძეს — თბილისის 30-ე საშუალო სკოლის მასწავლებელს.
110. მელქოიანს გაგიკ არტაშეს-ძეს — მარნეულის რაიონის შაუმიანის საშუალო სკოლის დირექტორს.
111. მელქაძეს ილია ბესარიონის-ძეს — თბილისის 26-ე საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეს.
112. მერკვილაძეს დავით ნესტორის-ძეს — თბილისის მანქანათმშენებლობის ტექნიკუმის მასწავლებელს.
113. მესტვირიშვილს ბაბულია ალექსანდრეს ასულს — თელავის რაიონის [illegible] საშუალო სკოლის მასწავლებელს.
114. მესხიძეს არჩილ ლევანის-ძეს — თბილისის 36-ე საშუალო სკოლის მასწავლებელს.
115. მექვაბიშვილს სოფიო ბესარიონის ასულს — პენსიონერს.
116. მეშეკ ბრონისლავ ალექსანდრეს-ძეს — თბილისის საოლქო ოფიცერთა სახლის ზოგადსაგანმანათლებლო საღამოს საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეს.
117. მიქაძეს ვერა სარდიონის ასულს — თბილისის რკინიგზის № 1 საღამოს საშუალო სკოლის მასწავლებელს.
118. მიქაძეს იონა იაკობის-ძეს — ცხაკაიას რაიონის ძველი სენაკის საშუალო სკოლის დირექტორს.
119. მიშველაძეს ალექსანდრე გერასიმეს-ძეს — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს სასწავლო კომბინატის სოხუმის საანგარიშო-საბუღალტრო სკოლის დირექტორს.
120. მუავანაძეს თამარ მათეს ასულს — თბილისის 30-ე საშუალო სკოლის მასწავლებელს.
121. მურსაკულოვს ალი ჰუსეინ ოღლის — პენსიონერს.
122. ნარიმანოვს ლუსია იოსების ასულს — სიღნაღის საშუალო სკოლის მასწავლებელს.
123. ნაჭყებიას ემელიანე კონსტანტინეს-ძეს — ზუგდიდის რაიონის ორსანტიის საშუალო სკოლის მასწავლებელს.
124. ოვანესიანს გურგენ თათევოსის-ძეს — თბილისის 21-ე საშუალო სკოლის დირექტორს.
125. ოქროაშვილს გიორგი გრიგოლის-ძეს — თბილისის პირველი საშუალო სკოლის მასწავლებელს.
126. ოჩიგავას დომენტი აქსენტის-ძეს — თბილისის მე-14 საშუალო სკოლის მასწავლებელს.
127. პავლოვა-მიქელაძეს ელენე ვიქტორის ასულს — თბილისის მ. ბალანჩივაძის სახელობის მე-4 მუსიკალური სასწავლებლის პედაგოგს.
128. პირკულოვას ანა სტეფანეს ასულს — თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის მე-2 მუსიკალური სასწავლებლის პედაგოგს.
129. პოლიხრონოვას ვერა ნიკოლოზის ასულს — წალკის საშუალო სკოლის მასწავლებელს.
130. პოლოხოვას რუზანა არკადის ასულს — თბილისის მე-10 მუსიკალური სკოლის მასწავლებელს.
131. ჟღენტს ემელიანე ესტატეს-ძეს — ბათუმის რაიონის განთიადის რვაწლიანი სკოლის დირექტორს.
132. რამიშვილს ავლონ გაბრიელის-ძეს — მახარაძის რაიონის ცხემლისხიდის საშუალო სკოლის დირექტორს.
133. რამიშვილს მიხეილ სერაფიონის-ძეს — მცხეთის რაიონის მუხრანის საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეს.
134. რატიანს პელაგია სევასტის ასულს — პენსიონერს.
135. რევუნენკოვას ნადეჟდა სიმონის ასულს — ქუთაისის მე-13 საშუალო სკოლის მასწავლებელს.
136. როვნერ-შნაიდერს ლუბა ალექსანდრეს ასულს — თბილისის მე-6 მუსიკალური სკოლის მასწავლებელს.
137. როინიშვილს სამსონ ზაქარიას-ძეს — თბილისის 62-ე საშუალო სკოლის მასწავლებელს.
138. რუსეიშვილს ვიქტორ ისიდორეს-ძეს — ბათუმის № 1 სკოლა-ინტერნატის მასწავლებელს.
139. რუხაძეს ლონგინოზ დიმიტრის-ძეს — თბილისის 29-ე საშუალო სკოლის მასწავლებელს.
140. სალუქვაძეს შალვა პლატონის-ძეს — თბილისის მუშა-ახალგაზრდობის მე-11 საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეს.
141. სარავას ვარლამ ანანიას-ძეს — ქუთაისის რკინიგზის № 11 საშუალო სკოლის მასწავლებელს.
142. სვანიძეს ნადეჟდა ილარიონის ასულს — თბილისის 23-ე საშუალო სკოლის მასწავლებელს.
143. სვანიძეს სევერიან მელიტონის-ძეს — პენსიონერს.
144. სიხაშვილს გიორგი ილიას-ძეს — თბილისის 112-ე საშუალო სკოლის მასწავლებელს.
145. სიგოდინას გალინა კონსტანტინეს ასულს — ბოგდანოვკის რაიონის ორლოვკის რვაწლიანი სკოლის მასწავლებელს.
146. სიხარულიძეს მიხეილ ვლადიმერის-ძეს — თბილისის მუშა-ახალგაზრდობის 28-ე საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეს.
147. სოლოვიოვს სერგი დავითის-ძეს — თბილისის სახელმწიფო ქორეოგრაფიული სასწავლებლის პედაგოგს.
148. სონღულაშვილს ვახტანგ იაკობის-ძეს — გარდაბნის რაიონის ღილმის საშუალო სკოლის დირექტორს.
149. სტეფანიანს ირინა (ქნარიკ) მიროს ასულს — ახალქალაქის რუსული საშუალო სკოლის მასწავლებელს.
150. სუსარეიშვილს გიორგი ივანეს-ძეს — სამტრედიის რაიონის დიდი ჯიხაიშის საშუალო სკოლის მასწავლებელს.
151. სხირტლაძეს გრიგოლ ლეონტის-ძეს — ხაშურის რკინიგზის № 3 საშუალო სკოლის მასწავლებელს.
152. სხირტლაძეს სიმონ მელიტონის-ძეს — თბილისის სახელმწიფო ქორეოგრაფიული სასწავლებლის პედაგოგს.
153. ტუჩაშვილს ვერა ალექსანდრეს ასულს — ყაზბეგის საშუალო სკოლის მასწავლებელს.
154. უშვერიძეს ევგენია იაგორის ასულს — თეთრიწყაროს რაიონის ერტისის რვაწლიანი სკოლის მასწავლებელს.
155. ფადავას ქეთევან სამსონის ასულს — ჭიათურის მეორე საშუალო სკოლის მასწავლებელს.
156. ფირცხალაიშვილ-ფილიას მარიამ სიმონის ასულს — ლანჩხუთის რაიონის ნიგოითის საშუალო სკოლის მასწავლებელს.
157. ქავთარაძეს ნადეჟდა იაკობის ასულს — პენსიონერს.
158. ქაჯაიას შალვა სარდიონის-ძეს — თბილისის 39-ე საშუალო სკოლის მასწავლებელს.
159. ქაჯაიას ლიზა ილარიონის ასულს — თბილისის 70-ე საშუალო სკოლის მასწავლებელს.
160. ქირიას ბესარიონ მიხეილის-ძეს — პენსიონერს.
161. ქუთათელაძეს თამარ ნიკოლოზის ასულს — თბილისის მ. ბალანჩივაძის სახელობის მე-4 მუსიკალური სასწავლებლის პედაგოგს.
162. ღლონტს გივი ვიქტორის-ძეს — მუშა-ახალგაზრდობის რესპუბლიკური დაუსწრებელი საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეს.
163. ყანჩაველს ივლიტა იოსების ასულს — თბილისის მე-2 მუსიკალური სკოლის მასწავლებელს.
164. შაგინოვს ალექსანდრე სერგის-ძეს — თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის მე-2 მუსიკალური სასწავლებლის პედაგოგს.
165. შარვაძეს ამროსი ტერენტის-ძეს — თბილისის ცენტრალური მუსიკალური სკოლის მასწავლებელს.
166. შანიძეს ევლამპი ზოსიმეს-ძეს — თბილისის მანქანათმშენებლობის ტექნიკუმის მასწავლებელს.
167. შახრამანოვს იაკობ სტეფანეს-ძეს — თბილისის 86-ე საშუალო სკოლის დირექტორს.
168. შენგელიას თამარ გიორგის ასულს — ზემო-ავჭალის მუშა-ახალგაზრდობის საღამოს სკოლის მასწავლებელს.
169. შერმაზანოვას თამარ სერგის ასულს — თბილისის მე-9 მუსიკალური სკოლის მასწავლებელს.
170. ჩაგინავას შალვა ამბაკოს-ძეს — წალენჯიხის რაიონის განათლების განყოფილების პედაგოგიური კაბინეტის გამგეს.
171. ჩანტლაძეს ანატოლი ერასტის-ძეს — თბილისის მე-14 საშუალო სკოლის მასწავლებელს.
172. ჩაჩანიძეს ქრისტინე ალექსის ასულს — პენსიონერს.
173. ჩერნიშევს ნიკოლოზ ივანეს-ძეს — ზემო-ავჭალის მუშა-ახალგაზრდობის საღამოს სკოლის მასწავლებელს.
174. ჩოკაშუას ვალერიან შერმადინის-ძეს — ლანჩხუთის რაიონის განათლების განყოფილების გამგეს.
175. ჩიქვინიძეს პროკოფი პროკოფის-ძეს — მაიაკოვსკის, მაიაკოვსკის სახელობის საშუალო სკოლის დირექტორს.
176. ჩიქოვანს ვერა გრიგოლის ასულს — პენსიონერს.
177. ჩიქოვანს ვერა ევგენის ასულს — თბილისის მე-9 მუსიკალური სკოლის მასწავლებელს.
178. ჩხაიძეს კალისტრატე ექვთიმეს-ძეს — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს სასწავლო კომბინატის დირექტორის მოადგილეს.
179. ჩხეიძეს თამარ სტეფანეს ასულს — პენსიონერს.
180. ჩხეიძეს მარიამ დიმიტრის ასულს — ახალციხის სკოლა-ინტერნატის აღმზრდელს.
181. ჩხიკვიშვილს აკაკი სერგის-ძეს — თბილისის დ. არაყიშვილის სახელობის პირველი მუსიკალური სასწავლებლის პედაგოგს.
182. ჩხიკვიშვილს ელენე ივანეს ასულს — თბილისის 50-ე საშუალო სკოლის მასწავლებელს.
183. ციცხვაიას ხარიტონ გაბრიელის-ძეს — საგარეჯოს რაიონის გომბორის საშუალო სკოლის მასწავლებელს.
184. ცოტაძეს ვალენტინა იასონის ასულს — სამტრედიის რკინიგზის № 13 საშუალო სკოლის მასწავლებელს.
185. ცხაკაიას ვარლამ ისიდორეს-ძეს — გეგეჭკორის რაიონის განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორს.
186. ძაგნიძეს ლუბა ლუკას ასულს — ქუთაისის მე-2 საშუალო სკოლის მასწავლებელს.
187. ძაძუას ერემია თევდორეს-ძეს — პენსიონერს.
188. წითლიძეს ევსევი ალექსის-ძეს — შორაპნის რკინიგზის № 8 საშუალო სკოლის მასწავლებელს.
189. ჭავჭანიძეს დიმიტრი კონსტანტინეს-ძეს — ბორჯომის რაიონის პატარა ცემის სკოლა-სანატორიუმის დირექტორს.
190. ჭანიშვილს გრიგოლ დიმიტრის-ძეს — პენსიონერს.
191. ჭედიას დავით ანდრიას-ძეს — სამტრედიის მუშა-ახალგაზრდობის საშუალო სკოლის დირექტორს.
192. ჭელიძეს ალექსანდრე ვასილის-ძეს — თბილისის მანქანათმშენებლობის ტექნიკუმის მასწავლებელს.
193. ჭუმბურიძეს გულნარა ალისტრახოს ასულს — ტყიბულის პირველი საშუალო სკოლის მასწავლებელს.
194. ჭურაძეს ალექსანდრე ივანეს-ძეს — თბილისის მუშა-ახალგაზრდობის № 17 საშუალო სკოლის მასწავლებელს.
195. ხავთასს ხალამპრე ივანეს-ძეს — მახარაძის რაიონის განათლების განყოფილების გამგეს.
196. ხამაშურიძეს დავით კარპოს-ძეს — მაიაკოვსკის რაიგანათლების განყოფილების პედკაბინეტის გამგეს.
197. ხარებოვას ანა მაქსიმეს ასულს — ცხინვალის მე-3 საშუალო სკოლის მასწავლებელს.
198. ხატისოვას ამალია ზაქარიას ასულს — მცხეთის საშუალო სკოლის მასწავლებელს.
199. ხაჩატუროვს სერგი ივანეს-ძეს — თბილისის მე-9 მუსიკალური სკოლის მასწავლებელს.
200. ხელაძეს პარმენ სილიბისტროს-ძეს — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უფროს მასწავლებელს.
201. ხელაძეს შუშანა ნესტორის ასულს — ქუთაისის 21-ე საშუალო სკოლის მასწავლებელს.
202. ხიდეშელს გრიგოლ ბესარიონის-ძეს — თბილისის მსუბუქი მრეწველობის ტექნიკუმის მასწავლებელს.
203. ხინთიბიძეს მარგარიტა ალექსანდრეს ასულს — თბილისის უსინათლო ბავშვთა საშუალო სკოლა-ინტერნატის აღმზრდელს.
204. ხოხლენკოს გიორგი ანტონის-ძეს — მახარაძის პირველი საშუალო სკოლის მასწავლებელს.
205. ხოეციანს მარიამ ვაგარშაკის ასულს — თბილისის დ. არაყიშვილის სახელობის პირველი მუსიკალური სასწავლებლის პედაგოგს.
206. ხორავას ბაგრატ დავითის-ძეს — გალის რაიონის განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორს.
207. ხუჯაძეს კლავდია თეოფანეს ასულს — ქუთაისის პირველი საშუალო სკოლის მასწავლებელს.
208. ჯანელიძეს ელენე ბარნაბის ასულს — ქუთაისის მე-4 საშუალო სკოლის მასწავლებელს.
209. ჯანჯღავას შალვა ლაზარეს-ძეს — ცხაკაიას რაიონის ძველი სენაკის საშუალო სკოლის მასწავლებელს.
210. ჯაფარიძეს ალექსანდრე სამსონის-ძეს — თერჯოლის რაიონის ზედა საზანოს საშუალო სკოლის დირექტორს.
211. ჯაფარიძეს ივანე ვასილის-ძეს — ქ. თბილისის საშუალო სკოლის მასწავლებელს.
212. ჯაფარიძეს მარიამ რომანოზის ასულს — პენსიონერს.
213. ჯაჯანიძეს ლიზა გერმანეს ასულს — მ. ბალანჩივაძის სახელობის ქუთაისის მუსიკალური სკოლის მასწავლებელს.
214. ჯიდარიანს არშავირ სარქისის-ძეს — სოხუმის მე-9 საშუალო სკოლის მასწავლებელს.
215. ჯოლბორდის ანდრია ზურაბის-ძეს — გორის რაიონის ძევერის საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეს.
216. ჯორჯიკიას ლევან ივლიონის-ძეს — სოხუმის ქალაქის განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე

თბილისი,
1965 წლის 28 აგვისტო.



კომკავშირელი ქალიშვილი ნ. ქავთარაძე თეთრი წყაროს რაიონის ალგეთის კოლმეურნეობის მოწინავე მწველავია. წელს 13 ძროხას უვლის. თვითეულ ძროხაზე უკვე მიიღო 1.600 კილოგრამი რძე და ამით წლიური გეგმა შეასრულა. ახლა გეგმის გადამეტებით იღებს რძეს.

მეორე სურათზე კი თქვენ ხედავთ სიღნაღის რაიონის ძველი ანაგის კოლმეურნეობის ნოვატორ მწყემსს გ. ჩალაბაშვილს. მან სანიმუშოდ გამოაზამთრა ცხვარი, ნამატიც შეინარჩუნა და ახლა თრიალეთის იალაღებზე აბალახებს ცხვარს.

სურათებზე: ნ. ქავთარაძე და გ. ჩალაბაშვილი.

ფოტო ბ. გოგოხიასი და შ. ჩხეტიანისა.

# რატომ ჭიანურდება საკვების დამზადება

ვინ არ იცის, რომ მტკიცე საკვები ბაზა მეცხოველეობის განვითარების საფუძველია. მაგრამ მარტო ამის ცოდნა როდი კმარა, საჭიროა საკვების უხვად დამზადება.

ახალციხის რაიონში წელს განსაკუთრებულად მძიმე მდგომარეობა შეიქმნა საკვების დამზადებაში. მთელი ზაფხულის მანძილზე აქ ნაკლები იყო ნალექები. გვალვებმა ძალიან შეამცირა ბუნებრივი და ნათესი ბალახების გამოსავლიანობა. სადაც ჰექტარზე შეიძლებოდა 25-35 ცენტნერი თივისა და ნამჯის აღება, წელს 10 ცენტნერის დაგროვებაც ჭირს. ეს გარემოება სერიოზული საშიშროების წინაშე აყენებს საზოგადოებრივი პირუტყვის გამოზამთრებას კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობაში, მათს ხელმძღვანელებს ავალებს უფრო მეტი ენერგიით მოჰკიდონ ხელი საკვების დამზადებას.

ეს გაითვალისწინეს და დროულად, ორგანიზებულად შეუდგნენ პირუტყვისათვის საკვების დაგროვებას ადიგენის, ადარის, ანის, იდუმალას, რუსთავის, ცხეროს და სხვა სოფლების კოლმეურნეობებში. ამ კოლმეურნეობების მშრომელები ცდილობენ არც ერთი გრამი საკვები არ დატოვონ მინდვრად. აწყურის საბჭოთა მეურნეობამ უკვე დაამზადა 4.120 ცენტნერი თივა ნაცვლად 3.930 ცენტნერისა. მეურნეობას ბევრი სასილოსე სიმინდი და ძირხვენები უთესია, რაც იმის გარანტიას იძლევა, რომ აქ კარგი წვნიანი საკვები ექნებათ. ბევრი სასილოსე მწვანე მასა ჩადეს მოხის საბჭოთა მეურნეობასა და ადიგენის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში.

მაგრამ ყველგან ასე თავდადებით როდი იბრძვიან საკვების დაგროვებისათვის. ეს საქმე შეუწყნარებლად ჭიანურდება სოფელ ნაოხრების კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ზ. მურადიანი), სადაც დღემდე დაგროვილი აქვთ მხოლოდ 300 ცენტნერი თივა ნაცვლად 2.600 ცენტნერისა, ნამჯისა და სილოსის დამზადება კი ჯერაც არ დაუწყიათ.

საგანგაშო მდგომარეობაა სვირის, ხევაშენის, საძელის, ხაკის, ქობარეთის, ქირის, დიდი პამაჯის, დამალის კოლმეურნეობებში, სადაც ჯერ ერთი ტონა სილოსიც არა აქვთ ჩადებული. ამ კოლმეურნეობებში არც ნამჯის დაგროვებაზე ზრუნავენ. საინტერესოა, რას ფიქრობენ კოლმეურნეობათა გამგეობები და პარტიული ორგანიზაციები, როგორ აპირებენ ზამთარში პირუტყვის გამოკვებას?

იქნებ მათ დაავიწყდათ გასული წლის მწარე გაკვეთილი, როცა შუა ზამთარში საკვები შემოაკლდათ და პირუტყვი დაეხოცათ. ამ მხრივ ყველაზე სავალალო მდგომარეობაა სოფელ ნაქალაქევის კოლმეურნეობაში. შარშან აქ მრავალი მსხვილფეხა პირუტყვი დაეხოცათ, ამისათვის ბევრი დაისაჯა. შეიცვალნენ თავმჯდომარე და პარტბიუროს მდივანი. მაგრამ, როგორც ჩანს, ახალმა ხელმძღვანელებმა აქედან სათანადო დასკვნები ვერ გააკეთეს. კვლავ დაბალ დონეზეა საკოლმეურნეო შრომის დისციპლინა. იმის გამო, რომ მათ საკუთარი ძალები ვერ დარაზმეს, დაქირავებულ კერძო პირებს სანახევროდ ათიბვინებენ კოლმეურნეობის სათიბებს. მსგავსი შემთხვევები სხვაგანაც არის.

რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში საერთოდ ნელი ტემპით მიმდინარეობს პირუტყვის საკვების დამზადება. 25 აგვისტოსათვის სულ დამზადებულია 50.633 ცენტნერი თივა ნაცვლად 143.700 ცენტნერისა, ნამჯა აქვთ 19.940 ცენტნერი ნაცვლად 272.010 ცენტნერისა, სილოსის ჩადების გეგმა შესრულებულია მხოლოდ 16 პროცენტით.

ეს მდგომარეობა დაუყოვნებლივ უნდა გამოსწორდეს. ახალციხელები მომზადებული უნდა შეხვდნენ ზამთარს.

შ. მაისურაძე,
„კომუნისტის" საკ. კორ.



ორმაგად სასიხარულოა ამ ადამიანებისათვის ხვალინდელი დღე — 1 სექტემბერი. ჯერ ერთი, სასწავლო წელი იწყება, მეორეც — აი მათი ხანგრძლივი და უმწიკვლო შრომის ესოდენ ღირსეული დაფასება! მათ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს 1965 წლის 28 აგვისტოს ბრძანებულებით საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდება მიენიჭათ.

აღნიშნული ბრძანებულებით ორასთექვსმეტი ღირსეული პედაგოგი შეემატა დამსახურებულთა არმიას. ისინი ახალი სასწავლო წლის წინ მადლობას უძღვნიან პარტიას, მთავრობას, ხალხს მოზარდი თაობის აღზრდაში მათი ამაგის დაფასებისათვის. აი რედაქციაში შემოვიდა ამაგდართა ერთი ჯგუფი. ესენი არიან დედაქალაქის მასწავლებლები. ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა ს. კილაძემ ამ სიხარულის წუთებში აღბეჭდა ისინი.

• • •

სურათზე: იმ მასწავლებელთა ერთი ჯგუფი, რომლებსაც მიენიჭათ საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებლების საპატიო წოდება: (მარცხნიდან მარჯვნივ) გიორგი ერქომაიშვილი (66-ე სკოლა), ვერონიკა ბასილაშვილი (მე-12 სკოლა), ნინო ბებურიშვილი (87-ე სკოლა), მიხეილ გოგუაძე (112-ე სკოლა) და შალვა ბახტაძე (მუშა-ახალგაზრდობის რესპუბლიკური დაუსწრებელი საშუალო სკოლა).

# მეღვინეობის საერთაშორისო დათვალიერება

**სიტყვა** საქართველოს დღეს ყველა კონტინენტის მეღვინეები წარმოთქვამენ: ჩვენი რესპუბლიკა აირჩიეს მზით გამთბარი ვაზის ღვინოების, შამპანურებისა და კონიაკების შეჯიბრების ასპარეზად.

დიდი ხანია ტრადიცია გახდა მეღვინეობის ნაწარმის საერთაშორისო კონკურსების მოწყობა. მაგრამ დღემდე ასეთი კონკურსები არ მოწყობილა საბჭოთა კავშირში, თუმცა ჩვენი ქვეყანა მონაწილეობს ამ კონკურსებში უკანასკნელი შვიდი წლის მანძილზე.

წელს ყურძნის და შამპანური ღვინოებისა და კონიაკების მორიგი საერთაშორისო კონკურსი პირველად ეწყობა სსრ კავშირში, ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქ თბილისში 1-დან 10 სექტემბრამდე.

ეს, უეჭველია, მოწმობს საბჭოთა მევენახეობისა და მეღვინეობის დიდ წარმატებებს, აგრეთვე მათი საერთაშორისო ავტორიტეტის ზრდას.

საბჭოთა კავშირი მეღვინეობის პროდუქციის ერთ-ერთი უდიდესი მწარმოებელია მსოფლიოში. თუ 1940 წელს ჩვენს ქვეყანაში წარმოებული იყო 19,8 მილიონი დეკალიტრი ყურძნის ღვინო, 1963 წელს აწარმოეს 106,9 მილიონი დეკალიტრი. მიმდინარე წლის სახალხო სამეურნეო გეგმის დავალების შესაბამისად სსრ კავშირში აწარმოებენ 120 მილიონ დეკალიტრ ყურძნის ღვინოს, 56,8 მილიონ ბოთლ შამპანურს, 2.620 ათას დეკალიტრ კონიაკს და 1.175 ათას დეკალიტრ კონიაკის ნაწარმს.

ფართო და მრავალფეროვანია საბჭოთა ღვინოების ასორტიმენტი. ამჟამად ჩვენი ქვეყნის მეღვინეობის საწარმოები [illegible]

**გ. ჩოგოვაძე,**

[illegible]

◆

[illegible]

ლოგიასთან საშუალებას გვაძლევს საქართველოში ვაწარმოოთ მაღალხარისხოვანი სუფრის ნატურალური მოტკბო და საამო ღვინოები, შამპანური და კონიაკები.

რესპუბლიკის 120-ზე მეტ მეღვინეობის საწარმოში უშვებენ 45 მარკის ყურძნის ღვინოს, 9 მარკის კონიაკსა და 10 მარკის შამპანურს. საქართველოში შექმნილია სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებებისა და საყრდენი პუნქტების ქსელი, რომლებიც წარმატებით მუშაობენ მევენახეობისა და მეღვინეობის დარგში.

ქართული მეღვინეობის პროდუქცია ფართოდ არის ცნობილი ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ.

გასული საუკუნის 80-იანი წლების დამლევს ქართული ლიტერატურის კლასიკოსი ილია ჭავჭავაძე სინანულით ამბობდა, საზღვარგარეთ შესანიშნავ ქართულ ღვინოებს არ იცნობენ, მსოფლიო ბაზარზე არ გვხვდებაო.

ახლა საქართველოს ღვინოები და კონიაკები საბჭოთა მეღვინეობის ღირსეული წარმომადგენლები არიან საერთაშორისო გამოფენებსა და ბაზრობებზე. მარტო უკანასკნელ წლებში სხვადასხვა მსოფლიო კონკურსზე ქართულ ღვინოებს მიენიჭათ 30 ოქროს, 47 ვერცხლის და 5 ბრინჯაოს მედალი.

საზღვარგარეთის სახელგანთქმულ კონიაკებს წარმატებით უწევენ მეტოქეობას საქართველოს სამარკო კონიაკები „გრემი", „ვარციხე", „ძველი კონიაკი", „ენისელი", „ძველისძველი" „თბილისი".

შემთხვევითი როდია ის მნიშვნელოვანი წარმატებანი, რომლებიც ამ ბოლო წლებში არის მიღწეული საბჭოთა კავშირის მევენახეობისა და მეღვინეობის განვითარებაში. ამ წარმატებათა საფუძველია განუწყვეტლივ განვითარებადი მოწინავე ტექნიკით აღჭურვილი სოციალისტური მრეწველობა, მექანიზებული სოფლის მეურნეობა და მოსახლეობის კულტურული და მატერიალური კეთილდღეობის განუწყვეტელი გაუმჯობესება.

საბჭოთა მთავრობის ღონისძიებებში ჩვენი ქვეყნის მატერიალური სიუხვის შესაქმნელად დიდი ყურადღება ეთმობა მევენახეობისა და მეღვინეობის შემდგომ განვითარებას.

ცნობილია, რომ ყურძნის ღვინო ნაკლებად ტოქსიკურია ყველა სპირტიან სასმელს შორის. ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ და მაგარი სასმელების აღკვეთისათვის ბრძოლაში დიდი როლი უნდა შეასრულოს ყურძნის ღვინომ. ეს ამოცანა შეიძლება გადაწყდეს, თუ მნიშვნელოვნად გადიდდება ყურძნის ღვინოების წარმოება და კიდევ უფრო გაუმჯობესდება მათი ხარისხი.

ღვინოების საერთაშორისო დეგუსტაციები ხელს უწყობს მევენახეობისა და მეღვინეობის განვითარებას.

ყურძნის და შამპანური ღვინოებისა და კონიაკების ახლანდელ საერთაშორისო კონკურსში მონაწილეობს საზღვარგარეთის 27 სახელმწიფო, რომელთა წარმომადგენელია 158 ფირმა და ორგანიზაცია. მონაწილე ქვეყნებს შორის არიან ავსტრია, არგენტინა, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, კანადა, კვიპროსი, მექსიკა, რუმინეთი, თურქეთი, საფრანგეთი, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, ჩეხოსლოვაკია, იუგოსლავია, იაპონია და სხვ. კონკურსის საორგანიზაციო კომიტეტმა მიიღო 868 ნიმუშის ღვინო, შამპანური და კონიაკი.

მათ შორის არის ისეთი ცნობილი ფირმების პროდუქცია, როგორიცაა: უნგრეთის „მონიპექსი", საფრანგეთის „კურვაზიე", ჩეხოსლოვაკიის „ბრატისლავის ღვინის ქარხნები", არგენტინის — „ფლიხმანი და კომპანია", დასავლეთ გერმანიის „ლუდვიგ რილინგი", იაპონიის — „სენსორი და კომპანია" და სხვ.

საბჭოთა კავშირის მეღვინეობის მრეწველობის წარმომადგენელი იქნება კონკურსზე თერთმეტი მოკავშირე რესპუბლიკა: რუსეთის სფსრ, უკრაინა, ყაზახეთი, უზბეკეთი, აზერბაიჯანი, ტაჯიკეთი, ყირგიზეთი, თურქმენეთი, სომხეთი, მოლდავეთი და საქართველო. პასუხსაგებ გამოცდას ჩააბარებენ რუსეთის ცნობილი სამარკო ღვინოები „რისლინგი", „ყიზლარი", „თეთრი მუსკატი", სადესერტო ღვინოები — ტაჯიკური „ვახში" და უზბეკური „შირინი", სუფრის სამარკო ღვინოები — სომხური „ვოსკევასი" და ყაზახური „ისიკი", კონიაკები — „ბაქო", „კიევი", „საიუბილეო" (სომხეთი) და საბჭოთა მეღვინეობის ბევრი სხვა ნიმუში.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა კონკურსზე წარმოადგენს 48 ნიმუშის ღვინოს, შამპანურსა და კონიაკს. აქ გარდა სახელგანთქმული „წინანდლისა", წარმოდგენილი იქნება „გურჯაანი", ხავერდოვანი „ტიბაანი", მშვენიერი გემოს, ბროწეულისფერი „თელიანი", ბუნებრივად ტკბილი „ტვიში" და აფხაზური თეთრი მოტკბო „ფსოუ", სხვადასხვა სახეობის შამპანური და ქართული სამარკო კონიაკები. კონკურსში პირველად მონაწილეობს საქართველოს მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი.

კონკურსის მთავარი არბიტრაჟის—სადეგუსტაციო კომისიის შემადგენლობაში 23 კაცია. მათ შორის 17 საზღვარგარეთის (ავსტრიის, ალჟირის, ბულგარეთის, იტალიის, პოლონეთის, საფრანგეთის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, ურუგვაის და სხვ.) წარმომადგენელია და 6 — საბჭოთა კავშირისა: რუსეთის სფსრ, უკრაინის, მოლდავეთის, უზბეკეთის, მოსკოვისა და საქართველოს თითო წარმომადგენელი.

სადეგუსტაციო ღვინოების ხარისხს შეაფასებენ 20 ბალიანი სისტემით, კონიაკებისას კი — 5 ბალიანი სისტემით.

დიდი მუშაობის მიუხედავად, რომელიც საერთაშორისო დეგუსტაციის მონაწილეებმა უნდა გასწიონ, თბილისში ყოფნის პროგრამა ისეთნაირად არის შედგენილი, რომ მათ და მათ თანმხლებ პირებს, აგრეთვე კონკურსის სტუმრებს საშუალება მიეცეთ შეძლებისდაგვარად ფართოდ გაეცნონ ჩვენი რესპუბლიკის მევენახეობის მეურნეობებს, მეღვინეობის საწარმოებს, სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებს, აგრეთვე საბჭოთა საქართველოს დედაქალაქის ღირსშესანიშნაობებს.

საერთაშორისო მეღვინეობის ახლანდელი დათვალიერების მაღალ დონეს მოწმობს, ის რომ კონკურსის მონაწილეთა შორის ბევრია თვალსაჩინო მეცნიერი, მევენახეობისა და მეღვინეობის აღიარებული სპეციალისტი, აგრეთვე კონკურსზე წარმოდგენილია ფართო ასორტიმენტის ყურძნის ღვინოები, შამპანური და კონიაკები, რომლებიც მსოფლიოში სახელგანთქმულმა ფირმებმა გამოგზავნეს.

## ყურძნის და შამპანური ღვინოებისა და კონიაკების საერთაშორისო კონკურსისათვის

# მეღვინეები ჩამოდიან საქართველოში

**თბილისში** ჩამოდიან ყურძნისა და შამპანური ღვინოების და კონიაკების საერთაშორისო კონკურსის მონაწილეები და სტუმრები. საქდესის კორესპონდენტმა ზოგიერთ მათგანს სთხოვა აზრი გაეზიარებინათ მზიური სასმელების მომავალი დათვალიერების შესახებ.

ფირმა „ბრატისლავის მეღვინეობის ქარხნები" აერთიანებს ამ დარგის ყველა საწარმოს ჩეხოსლოვაკიაში. ფირმის დირექტორის მოადგილემ წარმოებასა და ვაჭრობაში **პომნენ მატუშკამ** თქვა:

ჩვენი ქარხნები უშვებენ 25 სამარკო, 35 სხვადასხვა სორტის ნატურალურ, 12 სადესერტო და 7 მარკის შამპანურ ღვინოებს. მომავალ კონკურსზე ჩვენ წარმოვადგენთ 24 სორტის ღვინოს. ბევრმა მათგანმა არაერთხელ მოიპოვა პრიზები საერთაშორისო კონკურსებსა და ბაზრობებზე. დარწმუნებული ვართ, რომ ამჯერადაც ჩვენს პროდუქციას ჯეროვნად შეაფასებენ.

ახლანდელი კონკურსი მეტად მნიშვნელოვანია. სადეგუსტაციო კომისიის შემადგენლობაში არიან ღვინის თვალსაჩინო სპეციალისტები და მცოდნეები. სავსებით კანონზომიერია, რომ ეს საპასუხისმგებლო კონკურსი ეწყობა საქართველოში — უძველესი მეღვინეობის მხარეში, რომელიც განთქმულია თავისი შესანიშნავი ღვინოებით.

ქალაქ ვრშაცეს (იუგოსლავია) ენოლოგიური სადგურის დირექტორმა, **ველიმირ ვუჩკოვიჩმა** აღნიშნა:

თბილისში საერთაშორისო კონკურსზე შეიკრიბებიან მსოფლიოს ბევრი ქვეყნის ღვინის უდიდესი მწარმოებელი და სავაჭრო ორგანიზაციების წარმომადგენლები. ეს მეტად მნიშვნელოვანია გამოცდილების გაზიარებისათვის, საქმიანი კონტაქტების დამყარებისათვის, მეღვინეთა თანამშრომლობის განვითარებისათვის. უდავოა, რომ კონკურსი ხელს შეუწყობს ღვინოების ხარისხის გაუმჯობესებას, დაგვეხმარება მეღვინეებს, გადავიღოთ მეღვინეობის მოწინავე ტექნოლოგია. კონკურსზე წარმოვადგენთ იუგოსლავიის ყველა რაიონის ღვინოებს.

ლუბლიანის საერთაშორისო კონკურსებზე მე გავეცანი ქართულ სადესერტო ღვინოებს. ამ ღვინოებმა დეგუსტატორთა საყოველთაო [illegible] ვფიქრობ, რომ ახლანდ[illegible] [illegible] პოვებენ საპატიო ჯილდოებს.

მოხარული ვარ, რომ საქართველოში ჩამოვედი განვითარებული მეღვინეობისა და მევენახეობის რესპუბლიკის — იუგოსლავიის წარმომადგენლად. ჩვენში ვენახებს 210 ათასი ჰექტარი უკავია. ყველაზე მეტ ყურადღებას ვუთმობთ სუფრის ყურძენს, ვინაიდან იგი ბევრ ვიტამინებს შეიცავს. იუგოსლავი ენოლოგები ახლა წყვეტენ დიდმნიშვნელოვან პრობლემას — ცდილობენ გაახანგრძლივონ ყურძნის დამწიფების ვადა, რათა სეზონიდან სეზონამდე მოსახლეობას ჰქონდეს ახალი ყურძენი. სასარგებლო იქნებოდა და ამ კვლევით მუშაობაში საბჭოთა მეცნიერებთან ვითანამშრომლოთ. (საქდესი).





ველიმირ ვუჩკოვიჩი. პომნენ მატუშკა.

# დამთავრდა „ჯემინაი-5-ის" ფრენა

**ნიუ-იორკი.** 29 აგვისტო. საქდესის კორესპონდენტი **ო. ანიჩკინი** იტყობინება:

დღეს 15 საათსა და 55 წუთზე მოსკოვის დროით დამთავრდა კოსმოსური ხომალდის „ჯემინაი-5"-ის ფრენა, რომელშიც იყვნენ კოსმონავტები გორდონ კუპერი და ჩარლზ კონრადი. ამერიკელმა კოსმონავტებმა 120-ჯერ შემოუარეს დედამიწას და კოსმოსში დაჰყვეს თითქმის რვა დღე-ღამეს — 190 საათსა და 55 წუთს. კუპერმა და კონრადმა დაამყარეს კოსმოსურ სივრცეში ყოფნის ხანგრძლივობის რეკორდი.

120-ე გარშემოვლის დროს კოსმონავტებმა ჩართეს სისტემა, რომელსაც უნდა უზრუნველეყო „ჯემინაი-5"-ის დაშვება, და 15 საათსა და 55 წუთზე მოსკოვის დროით მშვიდობით დაეშვნენ წყალზე ატლანტის ოკეანეში. დაზუსტებული მონაცემებით, დაშვების ადგილი მდებარეობს 655 მილზე კენედის კონცხის აღმოსავლეთით და 335 მილზე ბერმუდების კუნძულების სამხრეთ-დასავლეთით.

„ჯემინაი-5"-ის დაშვების ადგილისაკენ სრული სიჩქარით გაემურნენ ავიამზიდი „ლეიკ ჩემპლენი" და სასკადრო ნაღმოსნები. ავიამზიდიდან აფრინდნენ ვერტმფრინავები. კოსმონავტებსა და ავიამზიდს შორის დამყარდა კონტაქტი რადიოთი.

კოსმოსური ხომალდის „ჯემინაი-5"-ის წყალზე დაშვების ადგილს მიუახლოვდნენ ვერტმფრინავები და წყალში ჩაუშვეს მაშველი რაზმი, რომელმაც ხომალდზე დადგა ჩაძირვისაგან დასაცავი სამარჯვი.

კოსმონავტებმა დატოვეს „ჯემინაი-5"-ის კაბინა და გადავიდნენ ვერტმფრინავიდან გადმოგდებულ სპეციალურ ტივზე. შემდეგ კუპერი და კონრადი ავიდნენ ვერტმფრინავში, რომელმაც 17 საათსა და 25 წუთზე კოსმონავტები ავიამზიდზე მიიყვანა.

ავიამზიდ „ლეიკ ჩემპლენზე" კოსმონავტები კუპერი და კონრადი გაივლიან გულდასმითს სამედიცინო შემოწმებას, რასაც, როგორც იუწყებიან, თითქმის შვიდი საათი დასჭირდება.

კუპერი და კონრადი „ლეიკ ჩემპლენზე" გაატარებენ ღამეს, ხოლო შემდეგ ავიამზიდი კოსმონავტებს ჩაიყვანს კენედის კონცხზე, საიდანაც დაიწყეს თავიანთი კოსმოსური გზა ამერიკელმა კოსმონავტებმა. იქ ექიმები განაგრძობენ სამედიცინო შემოწმებას 2 სექტემბრამდე. ამის შემდეგ კუპერი და კონრადი გაემგზავრებიან კოსმოსურ ცენტრში — ქალაქ ჰიუსტონში, სადაც ერთი კვირის განმავლობაში გაშიფრავენ მთელ შეგროვებულ ინფორმაციას.

აერონავტიკისა და კოსმოსური სივრცის კვლევის ეროვნული სამმართველოს წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ კოსმონავტებს 11 დღის განმავლობაში არ ექნებათ შესაძლებლობა შეხვდნენ თუნდაც თავიანთ ოჯახებს. ასეთი შეზღუდვის მიზანია, როგორც იუწყებიან, „რაც შეიძლება მეტი ინფორმაციის მიღება".

ექიმები, რომლებიც კუპერსა და კონრადს ავიამზიდ „ლეიკ ჩემპლენზე" შეხვდნენ, იუწყებიან, რომ ორივე ამერიკელი კოსმონავტი „თავს ჩინებულად გრძნობს" და, ერთადერთი, რაც სურთ, ის არის, რომ გამოიძინონ და წვერი გაიპარსონ.

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ლ. ჯონსონმა, რომელიც ახლა ჯონსონ-სიტიში (ტეხასის შტატი) იმყოფება, რადიო-ტელეფონით მიულოცა კუპერსა და კონრადს. პრეზიდენტმა აღნიშნა, კოსმონავტთა მამაცობა, რომლებმაც დაამთავრეს უძნელესი კოსმოსური ფრენა.

# საზღვარგარეთის ცნობები

## სახელოვანი იუბილე

**სანტიაგო,** 30 აგვისტო საქდესის კორესპონდენტი ნ. ჩიგირი იტყობინება: ჩილის კომუნისტური პარტიის ორგანო გაზეთი „სიგლო" აღნიშნავს სახელოვან იუბილეს. 31 აგვისტოს 25 წელი სრულდება, მას შემდეგ, რაც სანტიაგოსა და ჩილის სხვა ქალაქების ქუჩებში გამოვიდა გაზეთი, რომელიც მასებში ავრცელებს მარქსიზმ-ლენინიზმის უკვდავ იდეებს, რაზმავს ჩილელ მშრომელებს ჩაგვრისა და ექსპლოატაციის წინააღმდეგ ბრძოლისათვის, მოუწოდებს მთელი იმ ძალების სოლიდარობის განმტკიცებას, რომლებიც იბრძვიან ხალხთა მშვიდობისათვის, სოციალიზმისათვის.

თავისი არსებობის 25 წლის განმავლობაში გაზეთი „სიგლო" გადაიქცა ჩილის პროლეტარიატისა და მთელი ხალხის ინტერესების ნამდვილ გამომხატველად, მათ ორგანიზატორად თავიანთი უფლებების, თავიანთი ქვეყნის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში. ისევე როგორც კომპარტიას, „სიგლოსა" და მის თანამშრომლებს დევნიდნენ და სასტიკ რეპრესიებს ატეხდნენ თავს. მაგრამ ამ ბრძოლაში მხოლოდ იწრთობოდა პროლეტარული გაზეთის საბრძოლო სულისკვეთება, რომელმაც მუშათა კლასისა და მთელი ხალხის ღრმა პატივისცემა და მხარდაჭერა მოიპოვა.

ამ დღეებში გაზეთის იუბილეს მარტო ჩილელი მშრომელები როდი აღნიშნავენ. გაზეთი იღებს მრავალ მილოცვას საზღვარგარეთიდან. გუშინ „სიგლომ" გამოაქვეყნა „პრავდის" მისასალმებელი წერილი, რომელშიც მხურვალედ ულოცავენ იუბილარ კოლექტივს და უსურვებენ ახალ წარმატებებს.

## პარიზის განთავისუფლების ხსოვნისათვის

**პარიზი,** 30 აგვისტო. (საქდესი). პარიზის ეროვნული განთავისუფლების კომიტეტის მოწვევით გუშინ პარიზელები შეიკრიბნენ მონპარნასის ვაგზლის მოედანზე, რათა აღენიშნათ ფაშისტური ოკუპაციისაგან დედაქალაქის განთავისუფლების ოცდაერთი წლისთავი. ეს ტრადიციული მანიფესტაცია ყოველ წელს ეწყობა აგვისტოს უკანასკნელ კვირადღეს პარიზის განთავისუფლებისა და ოკუპანტთა კაპიტულაციის სამახსოვროდ. კაპიტულაციას ხელი მოაწერა გენერალმა ფონ შოლტიცმა, რომელიც დანებდა გენერალ ლეკლერკს და საფრანგეთის შინაგანი ძალების სარდალს როლ-ტანგის.

ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ მოძრაობის ყოფილმა ხელმძღვანელებმა, პარტიზანებმა, დემოკრატიული საზოგადოებრიობის თვალსაჩინო წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს მიტინგში.

სიტყვა წარმოთქვა პარიზის განთავისუფლების კომიტეტის თავმჯდომარემ ანდრე ტოლემ. მან ხაზი გაუსვა, რომ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ფრანგი ხალხის წინააღმდეგობის მოძრაობას მეორე მსოფლიო ომის წლებში, მის შეკავშირებას, რესპუბლიკური თავისუფლებებისადმი, დემოკრატიის, დამოუკიდებლობისა და მშვიდობისადმი ერთგულებას.

მიტინგის შემდეგ გაიმართა კონცერტი, რომლის დროს შესრულდა ხალხის ბრძოლისადმი, წინააღმდეგობის მოძრაობისა და განთავისუფლების სიხარულისადმი მიძღვნილი სიმღერები. მსახიობებმა წაიკითხეს არაგონის, ელუარის ლექსები.

## ცირიმოკოსი გადადგა

**ნიუ-იორკი,** 30 აგვისტო. (საქდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ათენელი კორესპონდენტი იუწყება, რომ გუშინ საბერძნეთის პრემიერ-მინისტრმა ცირიმოკოსმა მეფე კონსტანტინეს გადასცა განცხადება გადადგომის შესახებ, მას შემდეგ, რაც მის მიერ შექმნილმა მთავრობამ ვერ მიიღო ნდობის ვოტუმი პარლამენტში კენჭისყრის დროს.

მეფესთან შეხვედრის შემდეგ, ცირიმოკოსმა მეფის სასახლიდან გამოსვლისას კორესპონდენტებს აცნობა, რომ მეფე კონსტანტინემ სთხოვა შეასრულოს პრემიერ-მინისტრის მოვალეობა, სანამ ახალი პრემიერ-მინისტრი დადებდეს ფიცს.

## ლ. ჯონსონის პრეს-კონფერენცია

**ნიუ-იორკი,** 30 აგვისტო. (საქდესი). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ლ. ჯონსონმა თავის რანჩოში ტეხასის შტატში მოაწყო პრეს-კონფერენცია, რომელსაც გადასცემდა ამერიკის სატელევიზიო და რადიოსადგურები.

ძირითადი ყურადღება პრეს-კონფერენციაზე დაეთმო კოსმოსური ხომალდის „ჯემინაი-5"-ის ფრენის წარმატებით დამთავრებას. პრეზიდენტმა დიდად შეაფასა ფრენის შედეგები და მთელი ამერიკის შეერთებული შტატების სახელით მადლობა უძღვნა კოსმონავტებს გორდონ კუპერსა და ჩარლზ კონრადს. მან აგრეთვე გამოაცხადა, რომ აპირებს ეს და სხვა ამერიკელი კოსმონავტები გაგზავნოს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის დედაქალაქებში, რათა, როგორც მან თქვა, ცხადყოს ამერიკის მისწრაფება მშვიდობიანი თანამშრომლობისადმი კოსმოსში.

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი შეეხო საერთაშორისო მდგომარეობის საკითხებს და განაცხადა, რომ დადგა დრო დომინგოს რესპუბლიკაში შეთანხმების მისაღწევად. მან არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტის ნასერისა და საუდის არაბეთის მეფე ფეისალის შეთანხმება, რომელიც ამას წინათ ჯიდაში დაიდო, დაახასიათა როგორც მრავლის აღმთქმელი ნაბიჯი იემენის პრობლემის მშვიდობიანი გადაწყვეტის გზაზე.

შემდეგ ლ. ჯონსონმა თქვა, ჩემი აზრით, მშვიდობის საქმისათვის ამჟამად არ არის უფრო საჭირო ამოცანა, ვიდრე ის, რომ შევაჩეროთ ატომური იარაღის გავრცელება საერთაშორისო შეთანხმების საშუალებით.

შემდეგ ჯონსონი შეეხო ამერიკის შეერთებული შტატების საშინაო ცხოვრების საკითხებს და პრეს-კონფერენციაზე გამოაცხადა, რომ დამთავრდა ამერიკის შეერთებული შტატების აღმოსავლეთ სანაპიროსა და მექსიკის ყურის მეზღვაურთა გაფიცვა, რომელიც 75 დღეს გაგრძელდა. მაგრამ მას არაფერი უთქვამს გაფიცვის შეწყვეტის შეთანხმების დეტალების შესახებ.

## კურსი ვიეტნამისაკენ

**ტოკიო,** 30 აგვისტო. (საქდესი). საქდესის კორესპონდენტი ვ. ზაცეპინი იუწყება:

ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ბაზები იაპონიაში ამ დღეებში ამშლილ საფუტკრეს მოგვაგონებს. აეროდრომების ასაფრენი ბილიკები ძლივს ასწრებენ გაუშვან თვითმფრინავების უზარმაზარი ნაკადები. მათი კურსია ამერიკის შეერთებული შტატები—ვიეტნამი.

ვიეტნამში სამხედრო მოქმედების გაძლიერების კვალობაზე პენტაგონი გამალებით გზავნის ამ რაიონში ჯარის დამატებით ნაწილებს, იარაღს, სამხედრო აღჭურვილობას.

ამ ბოლო დროს ვიეტნამში მდგომარეობის გამწვავების გამო, წერს შემდეგ გაზეთი, მკვეთრად გაიზარდა კერძო საავიაციო კომპანიების იმ თვითმფრინავთა რიცხვი, რომლებსაც ამერიკელი ჯარისკაცები გადაჰყავთ ამერიკის შეერთებული შტატების სხვადასხვა შტატიდან ოკინავაში. ყველა ისინი ძირითადად 18-20 წლის ჭაბუკები არიან. ჩასვლისთანავე მათ სვამენ სამხედრო მანქანებში და მიჰყავთ ყაზარმებში.

ამავე დროს გაზეთი იუწყება, რომ დაიწყო ოკინავიდან ვიეტნამში გაგზავნილი ამერიკელი სამხედრო პოსამსახურეების ოჯახების ევაკუაცია.

## კვლავ ბანდიტური თავდასხმები

**ჰანოი,** 29 აგვისტო. (საქდესი). ამერიკის თვითმფრინავები, რომლებსაც ბაზა აქვთ სამხრეთ ვიეტნამისა და ტაილანდის ტერიტორიებზე განლაგებული ამერიკის შეერთებული შტატების 7-ე ფლოტის ხომალდებზე, 28 აგვისტოს კვლავ რამდენჯერმე დაესხნენ თავს ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკას. როგორც ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო იუწყება, ამერიკის შეერთებული შტატების ავიაციამ დაბომბა და ცეცხლი დაუშინა რესპუბლიკის მთელ რიგ მჭიდროდ დასახლებულ რაიონებსა და სამრეწველო ობიექტებს.

**ჰანოი,** 29 აგვისტო. (საქდესი). დღეს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე შეერთებული შტატების ავიაციის თავდასხმის დროს საჰაერო დაცვის ნაწილებმა ჩამოაგდეს ამერიკის სამი რეაქტიული ბომბდამშენი ავიაგამანადგურებელი.

◆

## ფხენიანის სტუდენტთა მიტინგი

**ფხენიანი,** 30 აგვისტო. (საქდესი). როგორც ჩინეთის დეპეშათა ცენტრალური სააგენტო იუწყება, აქ გაიმართა სტუდენტთა მიტინგი. მიტინგის 20 ათასზე მეტმა მონაწილემ სავსებით მხარი დაუჭირა და სოლიდარობა გამოუცხადა სამხრეთკორეელი ხალხის ბრძოლას ამერიკის იმპერიალიზმის წინააღმდეგ, პაკ ჩონ ხის მარიონეტული რეჟიმის წინააღმდეგ და იმის წინააღმდეგ, რომ სეულის ხელისუფლები მოურიგდნენ იაპონიის მმართველ წრეებს.

## დემონსტრაციები სამხრეთ ვიეტნამში

**ნიუ-იორკი,** 30 აგვისტო. (საქდესი). 4 ათასი კაცი შეიკრიბა გუშინ სამხრეთ ვიეტნამის ქალაქ ჰუეს ცენტრში. დემონსტრანტები მოითხოვდნენ სამხედრო რეჟიმის დამხობას. როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნეშენლის სააგენტოს კორესპონდენტი იუწყება, ეს გამოსვლა ყველაზე გრანდიოზულია იმ გამოსვლებს შორის, რომლებიც საიგონის ახლანდელი მთავრობის წინააღმდეგ მოეწყო. გუშინ, იუწყება კორესპონდენტი, მთავრობის საწინააღმდეგო გამოსვლები დაიწყო ამერიკის შეერთებული შტატების უდიდეს და-ნანგის ავიაბაზაში, სადაც სტუდენტებმა გაიარეს ქუჩებში და მოუწოდებდნენ მოსახლეობას 30 აგვისტოს მოაწყონ საყოველთაო გაფიცვა.

## რეპრესიები ბოლივიაში

**ლა-პასი,** 28 აგვისტო. (საქდესი). ბოლივიის პოლიციის ხელისუფლებმა კვლავ გაჩხრიკეს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის შენობა და დააპატიმრეს იქ მყოფი რამდენიმე კომუნისტი. ბოლივიის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც აღნიშნულია, რომ პოლიციის პროვოკაციული მოქმედების მიუხედავად კომუნისტური პარტია კვლავ განაგრძობს ბრძოლას ლეგალური მდგომარეობის შესანარჩუნებლად.



◆

**სამხრეთი ვიეტნამი.** ამერიკის შეერთებული შტატების კიდევ 18 საზღვაო ქვეითმა ჯარისკაცმა მიაღწია ვიეტნამში „ესკალაციის უკანასკნელ საფეხურს", რომლის გადაბიჯების შემდეგ კარაბინი და მუზარადი-ლა დაუტოვა თანამოიარაღეებს, ხოლო მწუხარება და ცრემლი — მახლობლებს.

• • •

**სურათზე:** საზღვაო ქვეითი ჯარის მე-3 პოლკის ჯარისკაცები და-ნანგში ეთხოვებიან მოკლულებს.

ტელეფოტო აპ-საქდესისა.

◆

## მეფუტკრეობის გამოფენა-ბაზრობა

**ბუქარესტის** მეფუტკრეობის კომბინატში გაიხსნა მეფუტკრეობის საერთაშორისო გამოფენა-ბაზრობა. აქ გამოფენილია 18 ქვეყნის მეფუტკრეობის ასოციაციებისა და ფირმების პროდუქცია. საბჭოთა კავშირმა გამოფენაზე წარადგინა თაფლის ნიმუშები, სპეციალური ლიტერატურა, მეფუტკრეობის ინვენტარი. გამოფენა-ბაზრობა მოეწყო მეფუტკრეების საიუბილეო XX საერთაშორისო კონგრესთან დაკავშირებით, რომელიც ახლა რუმინეთის დედაქალაქში მიმდინარეობს. (საქდესი).

## ხალხის ინტერესებისათვის

**ზანზიბარი,** 28 აგვისტო. (საქდესი). აქ გამოაცხადეს, რომ ნაციონალიზებულია 29 პლანტაცია, რომლებიც კერძო პირებს ეკუთვნოდა. მეტი წილი პლანტაციები მდებარეობს იმ სახელმწიფო მეურნეობების მეზობლად, რომლებიც ზანზიბარში რევოლუციის შემდეგ შეიქმნა. მიმდინარე წელს ზანზიბარის რევოლუციურმა მთავრობამ, რომელმაც ბოლო მოუღო ინგლისის კოლონიურ რეჟიმსა და არაბი სულთნების ფეოდალურ მართვას, მოახდინა 300-ზე მეტი კერძო პლანტაციის ნაციონალიზაცია. ამრიგად, სახელმწიფოს კონტროლს ექვემდებარება იმ ფერმების ნახევარზე მეტი, რომლებიც მიწის მორწყულ ნაკვეთებზეა განლაგებული.

მთავრობის მოამბე „ზანზიბარ გაზეტ"-ში დაბეჭდილია აგრეთვე ცნობა, რომ ნაციონალიზებულია შენობა აღმოსავლეთ ზანზიბარის სოფელ უროაში.

წელიწადნახევარში, რომელმაც ზანზიბარის რევოლუციის შემდეგ განვლო, სახელმწიფოს საკუთრება გახდა 80-მდე საცხოვრებელი სახლი, გარაჟი, საწყობი, აგრეთვე სამშენებლო მოედნები. მთავრობის ამ ღონისძიებათა შედეგად შემცირდა ბინის ქირა და გაუმჯობესდა ხალხის საბინაო პირობები.

# ს. ვ. კურაშოვის დაკრძალვა წითელ მოედანზე

**30 აგვისტოს** მოსკოვი უკანასკნელად ეთხოვებოდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატს, სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრს სერგი ვლადიმერის-ძე კურაშოვს.

კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში, სადაც ასვენია ურნა განსვენებულის ნეშტით, ყოველ სამ წუთში იცვლება საპატიო ყარაული.

11 საათსა და 30 წუთზე საპატიო ყარაულში დგებიან ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი, გ. ი. ვორონოვი, ა. ნ. კოსიგინი, კ. ტ. მაზუროვი, ა. ი. მიქოიანი, ნ. ვ. პოდგორნი, დ. ს. პოლიანსკი, ა. ნ. შელეპინი, პ. ნ. დემიჩევი, დ. თ. უსტინოვი, ი. ვ. ანდროპოვი.

პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებმა მიუსამძიმრეს განსვენებულის ოჯახს.

გამოთხოვების უკანასკნელ წუთებში პოსტამენტთან, რომელზეც ურნაა, რჩებიან ს. ვ. კურაშოვის ნათესავები და ახლობლები.

დაკრძალვის მომწყობი მთავრობის კომისიის წევრებმა ასწიეს დასვენებული ურნა, სამგლოვიარო პროცესია კავშირების სახლიდან გაემართა წითელ მოედანზე, სადაც მოეწყო სამგლოვიარო მიტინგი.

ურნა ს. ვ. კურაშოვის ნეშტით დადგეს ვ. ი. ლენინის მავზოლეუმის წინ.

სამგლოვიარო მიტინგზე სიტყვა წარმოთქვა დაკრძალვის მომწყობი მთავრობის კომისიის თავმჯდომარემ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრმა კ. ტ. მაზუროვმა. ღრმა მწუხარებით, თქვა მან, ვეთხოვებით დიდი საბჭოთა ხალხისა და კომუნისტური პარტიის ერთგულ შვილს, სერგი ვლადიმერის-ძე კურაშოვს, რომელმაც მთელი თავისი ძალღონე, მდიდარი გამოცდილება და ცოდნა მოახმარა საბჭოთა ადამიანების ჯანმრთელობის დაცვის კეთილშობილურ საქმეს.

ამხანაგ კურაშოვს ღრმა თეორიული ცოდნა და მუშაობის დიდი გამოცდილება ჰქონდა და იგი ჰუნარიანად წარმართავდა ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა საქმიანობას.

ხალხის ჯანმრთელობის დაცვის დარგში დიდ მუშაობასთან ერთად ამხანაგი კურაშოვი აქტიურ საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწეობასაც ეწეოდა. კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე მისი დიდი დამსახურების აღიარებაა ამხ. კურაშოვის დაჯილდოება ლენინის ორდენით, შრომის წითელი დროშის ორდენით, „საპატიო ნიშნის" ორი ორდენით.

გულისტკივილით ვეთხოვებით ამხანაგ კურაშოვს, თქვა დასასრულ კ. ტ. მაზუროვმა, დიდად ვწუხვართ ამ მძიმე უდროო დანაკლისის გამო. ჩვენ ყველას, ვინც სერგი ვლადიმერის-ძესთან ერთად მუშაობდა, ყოველთვის გვემახსოვრება, იგი, როგორც ჩვენი დიდი ლენინური პარტიის ერთგული შვილი, ნებისყოფიანი და მომთხოვნი ხელმძღვანელი, თავმდაბალი და გულისხმიერი ამხანაგი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დავალებით კ. ტ. მაზუროვმა გახსნა სამგლოვიარო მიტინგი.

სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მუშაკთა სახელით მიტინგზე სიტყვა წარმოთქვა ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის პირველმა მოადგილემ პ. ვ. გუსენკოვმა, მედიცინის მეცნიერების მოღვაწეთა სახელით — სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილმა წევრმა ბ. ვ. პეტროვსკიმ, ქალაქ მოსკოვის მშრომელთა სახელით — ქარხანა „კრასნი ბოგატირის" ბრიგადირმა ვ. გ. მარკოვამ.

სამგლოვიარო მიტინგის დამთავრების შემდეგ იგრიალა საარტილერიო სალუტის ზალპმა. შესრულდა სსრ კავშირის სახელმწიფო ჰიმნი და ურნა განსვენებულის ნეშტით ჩადგეს კრემლის კედლის ნიშში. მარმარილოს დაფას, რომლითაც ნიში იხურება, აწერია:

**სერგი ვლადიმერის-ძე კურაშოვი**

I X 1910 — 27 VIII 1965

კომუნისტური პარტიის ერთგულ შვილს, თვალსაჩინო სახელმწიფო მოღვაწესა და ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზატორს სამხედრო პატივი სცეს საბრძოლო ქვეგანაყოფებმა, რომლებმაც წითელ მოედანზე ჩაიარეს. (საქდესი).

კომუნისტი
მე-3 გვერდი, შაბათი,
31 აგვისტო, 1965 წ.

# ახალი ამბები · მოკლედ

## კიბერნეტიკა დღეს და ხვალ

ბათუმი. (საქ. კორ.). [illegible] ...ნობამ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინიციატივით გაიმართა კიბერნეტიკის ბათუმის საზაფხულო სკოლის სამეცნიერო სესია.

მის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად ასამდე მეცნიერი ჩამოვიდა ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქიდან. მათ შორის არიან კიბერნეტიკის ცნობილი სპეციალისტები — სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული კიბერნეტიკის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ბ. გნედენკო, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, ლენინური პრემიის ლაურეატი, პროფესორი ე. მიშჩენკო, ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, აკადემიკოსი ნ. ბოგოლიუბოვი, ლენინური პრემიის ლაურეატი, პროფესორი ვ. ბოლტიანსკი, სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა, ლენინური პრემიის ლაურეატმა, აკადემიკოსმა ი. ვეკუამ.

მეცნიერებმა განიხილეს კიბერნეტიკის უმნიშვნელოვანესი პრობლემური საკითხები, ერთმანეთს გაუზიარეს კიბერნეტიკის დარგში მოპოვებული უახლესი მიღწევები.

## „ოდიშელი არწივი" შამგონაში

[illegible] ...ყურებელმა გულთბილად მიიღო მსახიობები ლ. კევლიშვილი, მ. ეგუტია, ბ. ხაფავა.

„ოდიშელი არწივის" დადგმით თბილისის ლენინის რაიონის სახალხო თეატრმა შამგონელთა სიყვარული და მადლობა დაიმსახურა.

ხ. ფიფია.

## 12 ათასი მექანიზატორი—სოფელს

[illegible] ...ბაინერებს, მექანიზატორთა ბრიგადის ხელმძღვანელებს, ელექტრომექანიკოსებს და სხვ.

ამას წინათ სასწავლებელს ახალი ორსართულიანი სასწავლო კორპუსი შეემატა.



რთველი მოახლოვდა. გარდაბნის რაიონის სამგორის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მთავარი აგრონომი ი. მჭაჭია (მარჯვნივ), მერგოლეური რ. ბუაჩიძე და ლაბორანტი თ. ბაკურაძე ამოწმებენ ყურძნის შაქრიანობას.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

## საინტერესო განათხარი

ჭიათურა. (საქ. კორ.). ქალაქის დასავლეთით, სოფელ ნავარძეთის მისადგომებთან უძველესი გამოქვაბულია. აქ კვლევა-ძიებას ეწეოდა საქართველოს ისტორიის მუზეუმის ექსპედიცია, რომელსაც ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი დ. თუშაბრამიშვილი ხელმძღვანელობდა. ექსპედიციამ აღმოაჩინა უძველესი სადნობი ღუმელის ნიშნები, რკინისა და წიდის ნატეხები.

## პოლონელმა მეცნიერმა ქართველი ბიჭუნა გადაარჩინა

თელავი, 30 აგვისტო. (საქდესის სპეციალური კორესპონდენტი ი. გოლდმანი). ვარშავის ბირთვული კვლევის ინსტიტუტის ახალგაზრდა ფიზიკოსი ზიგმუნდ პრეიბიში ფიზიკოსთა თელავის საერთაშორისო საზაფხულო სკოლის ყველაზე პოპულარული მსმენელი გახდა. მან გადაარჩინა 6 წლის ქართველი ბიჭუნა.

ეს მოხდა აგვისტოს ერთ მზიან დღეს, როცა სკოლის მსმენელები ლექციის შემდეგ ალაზნის პირას ისვენებდნენ.

მეცნიერები უკვე ავტობუსში სხდებოდნენ, როცა ყვირილი გაისმა. ზიგმუნდ პრეიბიში ტანსაცმლით გადაეშვა წყალში. მან გასცურა ბავშვისაკენ, რომელიც მორევმა ჩაითრია. რამდენიმე წუთის შემდეგ პოლონელმა ნაპირზე გამოიყვანა გონებადაკარგული ბავშვი და პირველი დახმარება აღმოუჩინა.

ვარშაველი მეცნიერის მამაცური მოქმედების მოწმე გახდნენ 14 ქვეყნის მეცნიერები.

თვით პრეიბიშს, თავის მოქმედებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა არ მიუცია.

— ჩემ ადგილას ყველა ასე მოიქცეოდა, — უთხრა მან საქდესის კორესპონდენტს. მე მხოლოდ სხვებს დავასწარი.

## ამინდი

## შემოდგომის პირას

წლევანდელმა ზაფხულმა ცენტრალური ოლქების მცხოვრებნი ვერ გაახარა. ცა ხშირად იბურებოდა ბნელი ღრუბლებით, წვიმდა, დღის ტემპერატურა ზოგჯერ დაბლა იწევდა 12 გრადუსამდე. ხოლო ისეთი დღეები, როცა თერმომეტრი 25 გრადუსსა და მეტს აჩვენებდა, ძალიან ცოტა იყო. მოღრუბლული და წვიმიანი ზაფხული წარმოშვეს საბჭოთა კავშირის ევროპული ტერიტორიის ჩრდილოეთ ნაწილსა და ცენტრში გაბატონებულმა ატლანტიკურმა ციკლონებმა.

თითქმის განუწყვეტლივ იჭრებოდნენ აქ ციკლონები ხან ატლანტიკიდან და თან მოჰქონდათ ხშირი წვიმები და სიგრილე, ხან ხმელთაშუა და შავი ზღვებიდან. არქტიკა სიცივის სულ ახალ და ახალ „ულუფებს" უმატებდა. ბოლოს აგვისტოს შუა რიცხვებში წვიმები შემოდგომისას დაემსგავსა. სითბომ უკან დაიხია უკრაინის სამხრეთი ნაწილიდან და ჩრდილოეთ კავკასიიდან.

აგვისტოს უკანასკნელ დეკადაში ამინდი მკვეთრად შეიცვალა. საბჭოთა კავშირის ევროპულ ტერიტორიაზე ნანატრი სითბო შემოიჭრა. წვიმები შეწყდა, სამხრეთის ქარებმა დაჰბერა. ბალტიისპირეთში, ცენტრალურ ზოლში ტემპერატურამ დღისით 23-28 გრადუსამდე აიწია, ჩრდილოეთში რამდენიმე ღამით, მხოლოდ ჩრდილოეთ ურალზე ცივა და წვიმებია.

აგვისტოს ბოლომდე ცენტრალურ ოლქებში, უკრაინასა და ჩრდილოეთ კავკასიაში ძალიან თბილი ამინდი დარჩება. მხოლოდ აქა-იქ მოვა წვიმები. ჩრდილოეთ და შუა ურალზე ამინდი გაუმჯობესდება და წვიმები შეწყდება.

დასავლეთ ციმბირში, პირიქით, არქტიკიდან ციკლონები შემოიჭრა და თან სიცივე და წვიმები მოიტანა. სიცხემ იკლო ყაზახეთში, კრასნოიარსკის მხარის სამხრეთ ნაწილში. აქ დარჩება მერყევი, გრილი ამინდი ხანმოკლე წვიმებით.

ს. ჩუპრინი,
პროგნოზების ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი.

## კულტურული ურთიერთობის მატიანედან

## მხატვარ კ. ქანდაურიშვილის წერილები

მოსკოვის ლიტერატურისა და ხელოვნების ცენტრალური არქივის სამუშაო დარბაზში თავი მოუყრიათ სხვადასხვა რესპუბლიკიდან ჩამოსულ მკვლევარებს. მათ შორის ქართველებიც არიან. აქვეა მხატვარი — ხელოვნებათმცოდნე ოთარ ფირალიშვილიც. მისი მაგიდა სავსეა წერილებით, რომლებიც მხატვარ კოტე ქანდაურიშვილს ეკუთვნის (1865-1930). ვის არ ჰქონია კოტე ქანდაურიშვილთან მიწერ-მოწერა: ვერეშჩაგინს, ვრუბელს, ლანსერეს, მაკოვსკის, ბორისოვ-მუსატოვს, ბენუას, ბაქსტს, კუპრინს, ბოგოროდსკის, კანდინსკის, მალევიჩს, პოლენოვს. საკმარისია ითქვას, რომ მხოლოდ ბოგაევსკის მიუწერია მისთვის ოთხასამდე წერილი.

რა მტკივნეულ საკითხზე არ მიმართავენ მოუსვენარ და გულისხმიერ კოტეს. ყოველი მათგანი მოელის ხელის გაწოდებას, ძმურ დახმარებას.

გასაოცარია ამ დაუღეგარი ადამიანის მოღვაწეობის დიაპაზონი. მაგიდაზე დევს რუსული მხატვრობის ისეთ საზოგადოებათა საბუთები, როგორიც იყო „მოსკოველ მხატვართა ამხანაგობა" და „მირ ისკუსსტვა". კოტე ქანდაურიშვილის ხელით ყოფილა შედგენილი ყოველი მათგანის წესდება. იგი ყოფილა მათი გამოფენების დაუღალავი ორგანიზატორიც.

რუს მხატვარს პოლენოვსა და თვით ქანდაურიშვილს დაუარსებიათ მხატვართა დამხმარე და ღარიბი და ნიჭიერი ახალგაზრდა მხატვრების საზღვარგარეთ მივლინების საორგანიზაციო საზოგადოებები. იგი პეტერბურგის ლევ ტოლსტოის სახლ-მუზეუმის მოწყობის საქმეშიც არ გამოუტოვებიათ.

კოტე ქანდაურიშვილს არც მშობლიური თბილისი გამორჩენია. 1900-იან წლებში აქ დაუარსებია პირველი სახელმწიფო სამხატვრო სკოლა, რომელმაც არაერთი თაობა აღზარდა.

განსაკუთრებით საინტერესოა თურმე ამ დაუღალავი მოღვაწის მიწერ-მოწერა ქართველ და სომეხ მხატვრებთან. აქ ნახავთ გუდუნავას, შერვაშიძის, სარიანისა და თათევოსიანცის წერილებს. თბილისიდან ეხმაურებიან მას ევგენი ლანსერე და იოსებ შარლემანიც.

ყოველივე ამის მიგნებით ხელოვნებათმცოდნე ო. ფირალიშვილი რუსულ-ქართული კულტურული ურთიერთობის ისტორიას, როგორც ჩანს, კიდევ ერთ საინტერესო ფურცელს შემატებს.

ს. რიჟინაშვილი.
ქ. მოსკოვი.

## უნივერსიადის ფინიში

გასული კვირადღე ბუდაპეშტის სტუდენტთა უნივერსიადის უკანასკნელი აკორდი იყო. ტოკიოს ოლიმპიური ასპარეზობის შემდეგ ასეთი მაშტაბის შეჯიბრება არ გამართულა. ჟურნალისტებმა მას სავსებით სამართლიანად მცირე ოლიმპიადა შეარქვეს.

გასულ ოლიმპიადებთან შედარებით ბუდაპეშტის პაექრობა გამოირჩეოდა არა მარტო მასობრიობით და შეხვედრათა მრავალფეროვნებით, არამედ შედეგიანობითაც. უნივერსიადის დღეებში სტუდენტმა სპორტსმენებმა არა ერთი შესწორება შეიტანეს თავიანთი ქვეყნის, ევროპისა და მსოფლიოს რეკორდების ცხრილში.

როგორც ყოველთვის, ყველაზე მასობრივი იყო მძლეოსნობა. საბჭოთა სპორტსმენებმა ამ შეჯიბრებაში არაერთხელ ისახელეს თავი, მედლების დიდი უმრავლესობა სწორედ მათ მოიპოვეს. ფინიშთან გვასახელა ტ. შჩელკანოვამ. მან ორი ოქროს მედალი მოიპოვა, —სიგრძეზე ხტომასა და მძლეოსნურ ხუთჭიდში. მსოფლიოში სახელმოხვეჭილმა სპორტსმენმა ი. ტერ-ოვანესიანმა სიგრძეზე ხტომაში პირველობა არავის დაუთმო — 8 მეტრი და 19 სანტიმეტრი. საბჭოთა კალათბურთელმა ვაჟებმა ფინალში განიცადეს წარუმატებლობა ამერიკელებთან შეხვედრაში და ვერცხლის მედალი მოიპოვეს.

ამრიგად, უნივერსიადა კვლავ საბჭოთა სპორტსმენების წარმატებით აღინიშნა. მათ გაუსწრეს მეტოქეებს მოპოვებული მედლების რაოდენობითაც და ტოკიოს ოლიმპიური ასპარეზობის მსგავსად არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაშიც.

## კალინინგრადის კორტებზე

სსრ კავშირის გუნდურ პირველობას ჩოგბურთში ფინიში გასულ კვირადღეს კალინინგრადში ჰქონდა.

როგორც ცნობილი იყო, ფინალში გავიდნენ ესტონეთისა და უკრაინის გუნდები. ესტონელებმა აღმავლობით ჩაატარეს ეს შეხვედრა და გაიმარჯვეს ანგარიშით 13:7. ბრძოლის მაღალი ოსტატობა გვიჩვენეს კივი-ბაქშეევამ, სივოხინ-პარმასმა და სხვებმა.

ამრიგად, ესტონელმა ჩოგბურთელებმა ჩემპიონობა მოიპოვეს. ვერცხლის მედალი ხვდათ უკრაინელებს, მესამე ადგილზე გამოვიდნენ მოსკოველები.

ჩვენი ქვეყნის პირადი პირველობა გათამაშდება ხარკოვის კორტებზე სექტემბერში, სადაც გამოვლენ დმიტრიევა, ერმოლოვა, ლეიუსი, მეტრეველი და სხვ.

## ლიდერმა წააგორძიკა

საკავშირო ჩემპიონატის ლიდერმა — მოსკოვის „ტორპედოს" ფეხბურთელთა კოლექტივმა მხოლოდ სტარტზე ბაქოს „ნეფტიანიკთან" განიცადა დამარცხება. მას შემდეგ ოთხ თვეზე მეტმა ხანმა განვლო, ტორპედოელები სულ წინ მიიწევდნენ, სატურნირო ცხრილის სათავეში მოექცნენ და ოქროს მედლებზე პრეტენზიას აცხადებენ.

მაგრამ აი გასულ კვირადღეს მოსკოვის დინამოელებმა „ტორპედოს" ტრიუმფით წინსვლა შეაჩერეს, აიღეს პირველი წრის რევანში: დაამარცხეს მეტოქე დამაჯერებელი ანგარიშით 3:1.

ჩანს, დინამოელები ამ მატჩისათვის სერიოზულად მოემზადნენ. ისინი მოქმედებდნენ დიდი სისწრაფით, კოლექტიურად, გამარჯვების წყურვილით. ფაქტიურად მატჩის ბედი პირველ ტაიმში გადაწყდა. დინამოელებმა ჩისლენკომ, გუსაროვმა და აგრუსკინმ სამჯერ აიღეს „ტორპედოს" კარი.

საინტერესო გამოდგა მეორე ტაიმი. მართალია, ტორპედოელებმა შეძლეს ერთი ბურთის გატანა (სიდოროვი), მაგრამ ეს იყო და ეს, ლიდერი დამარცხდა 1:3.

## „ლოკომოტივი" — „ჩერნომორეცი"

გუშინ მოსკოვში გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩი ფეხბურთში „ა" კლასის პირველი ჯგუფის გუნდებისათვის. თამაშობდნენ დედაქალაქის „ლოკომოტივისა" და ოდესის „ჩერნომორეცის" გუნდები.

შეხვედრისადმი ინტერესი დიდი იყო არა მარტო იმისათვის, რომ მეტოქეთა პირველი წრის მატჩი ოდესაში ფრედ (3:3) დამთავრდა, არამედ იმისათვისაც, რომ ეს გუნდები თავიანთი სატურნირო მაჩვენებლებით ახლოს არიან ერთმანეთთან და ამ ეტაპზე ორი ქულის დაკარგვა ორივესათვის სავალალო იქნებოდა.

მოწინააღმდეგენი ბევრს ეცადნენ წარმატებისათვის მიეღწიათ, მაგრამ უშედეგოდ. მატჩი დამთავრდა ფრედ — 0:0.

## საქართველოს სპორტკავშირში

საქართველოს სპორტკავშირმა იმსჯელა თბილისის „დინამოს" ფეხბურთელის გ. სიჭინავას არასპორტული საქციელის შესახებ ბაქოს „ნეფტიანიკთან" მატჩში და დისკვალიფიკაცია მისცა მას. ამასთანავე გ. სიჭინავას უარი ეთქვა გამგზავრებაზე შვეციაში, სადაც მატჩები ექნებათ თბილისის დინამოელებს.

## იერიშები რეკორდებზე

შეიძლება ითქვას, რომ ხარკოვის საკავშირო ჩემპიონატი ცურვაში თავის შემადგენლობით ყველაზე ახალგაზრდული იყო. საერთოდ უკანასკნელ ხანებში მოპოვებული წარმატებები უთუოდ დიდია, მაგრამ ხარკოვის საცურაო ბილიკებზე ნაჩვენებმა შედეგებმა მოლოდინს გადააჭარბა.

ურეკორდოდ არც უკანასკნელ დღეს ჩაუვლია. მაგალითად, 16 წლის მოსკოველმა სპორტსმენმა ა. დუნაევმა 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში აჩვენა შედეგი 4 წუთი და 57,8 წამი და ჩვენი ქვეყნის ახალი რეკორდი დაამყარა. უკანასკნელი დღის სენსაციას წარმოადგენდა ევროპის რეკორდსმენის ს. ბელიც-გეიმანის დამარცხება 17 წლის ა. პლეტნიოვთან. 1500 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ა. პლეტნიოვი ჩემპიონი გახდა. მან აჩვენა დრო 17 წუთი და 19 წამი.

საინტერესოდ წარიმართა ესტაფეტები 4×100 მეტრზე ქალთათვის. კომპლექსურ ესტაფეტაში წარმატება მოსკოველებს ხვდათ, თავისუფალი სტილით ესტაფეტაში — ლენინგრადელებს.

საერთო-გუნდურ ჩათვლაში ყველაზე უკეთესი მაჩვენებლები მოსკოველებს აღმოაჩნდათ.

## რსფსრ მეოთხე ზონაში

გაიმართა რსფსრ „ბ" კლასის მეოთხე ზონის გუნდების მატჩები ფეხბურთში. „დინამო" (სტავროპოლი) — „მეტალურგი" (რუსთავი) — 1:3, „ცემენტი" (ნოვოროსიისკი) — „ალაზანი" (გურჯაანი) — 2:1, „დინამო" (სოხუმი) — „ლორი" (კიროვაკანი) — 2:1, „კოლხიდა" (ფოთი) — „მეშახტე" (ტყიბული) —4:1, „ენგური" (ზუგდიდი) — „ლერნაგორცი" (კაფანი) — 1:0, „დინამო" (ბათუმი), — „შირაკი" (ლენინაკანი) — 1:1.

(საქდესი).

## დუისბურგის ჩემპიონატის ექო

აკადემიურ ნიჩბოსნობაში დუისბურგის ევროპის ჩემპიონატზე ჩვენმა სპორტსმენებმა გაგვახარეს. ჯერ კიდევ შესარჩევ პაექრობაში მათ ჩინებული სტარტი აიღეს და ფინალში გავიდნენ.

აი გასული კვირადღის დასკვნითი ასპარეზობაც. ჩვენი ნიჩბოსნების მთავარი მეტოქეები გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სპორტსმენები იყვნენ. დისტანციებზე ისინი თითქმის თანაბრად მიდიოდნენ, გამარჯვების საკითხი მხოლოდ ფინიშთან წყდებოდა.

წარმატება ხვდათ ჩვენს ოთხიანებს მესაჭით და უმესაჭოდ, აგრეთვე ორიანებს მესაჭით. ისინი ევროპის ჩემპიონები გახდნენ. საბჭოთა ნიჩბოსნებმა მოიპოვეს სამი ოქროს, ამდენივე ვერცხლისა და ერთი ბრინჯაოს მედალი. საერთო გუნდურ ჩათვლაში მათ მოაგროვეს 48 ქულა, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნიჩბოსნებმა — 39 ქულა, ჰოლანდიელებმა — 12,5 ქულა.

კომუნისტი — სპორტი

## წინ მსოფლიოს ჩემპიონატია

წელს თანამედროვე ხუთჭიდელთა საკავშირო ჩემპიონატი ლვოვში მოეწყო. ოთხი დღის ასპარეზობის შემდეგ წინ იყო მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი ი. ნოვიკოვი.

ჩემპიონობის საკითხი უნდა გადაეწყვიტა უკანასკნელი დღის პაექრობას მძლეოსნურ კროსში, სადაც ლიდერი ვერაფერს გახდა არმიელი ხუთჭიდელის ა. მოკეევის წინააღმდეგ და პოზიცია დათმო.

მძლეოსნურ კროსში წარმატებამ ა. მოკეევს საერთო გამარჯვება და ჩემპიონობა მოუპოვა. მან მოაგროვა 5.177 ქულა. მსოფლიოს ჩემპიონი ი. ნოვიკოვი ვერცხლის მედლით დაკმაყოფილდა — 5.146 ქულა. მესამე ადგილი დაიკავა ს. შაპარნისმა — 4. 951 ქულა.

გუნდური საპრიზო ადგილები ასე განაწილდა — მოსკოვი, სომხეთი, უკრაინა.

საკავშირო პირველობა ამოიწურა, მაგრამ საბჭოთა ხუთჭიდელებს სეზონი ამით არ დაუმთავრებიათ. წინ არის მსოფლიოს ჩემპიონატი.

## ტურნირი ბარსელონაში

ბარსელონაში გრძელდება ჭაბუკ მოჭადრაკეთა ფინალური ტურნირი მსოფლიოს პირველობაზე.

ჩემპიონატის მონაწილეებმა უკვე გამართეს შვიდი ტური. წინ არის იუგოსლაველი მოჭადრაკე ბ. კურაიცა, რომელსაც 6 ქულა აქვს. ოთხ მოჭადრაკეს — ვ. ტუკმაკოვს (სსრ კავშირი), ნორვეგიელ ა. ცვაიგს, ჰოლანდიელ რ. ხარტონისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის წარმომადგენელს რ. ხიუბნერს ოთხ-ოთხი ქულა აქვთ.

## სპორტული ქრონიკა

● სოფიაში დამთავრდა ევროპის პირველი ჩემპიონატი კალათბურთში გოგონათა გუნდებისათვის. წარმატებით გამოვიდა საბჭოთა ნაკრები, რომელმაც ჩემპიონის ტიტული და გარდამავალი ჯილდო ბროლის თასი მოიპოვა.

● ტაშკენტის „პახტაკორის" ფეხბურთელთა კოლექტივმა დაამთავრა ტურნე საბერძნეთში. უკანასკნელი მატჩი საბჭოთა ფეხბურთელებს ჰქონდათ ათენში ადგილობრივ საკლუბო გუნდთან „აიეკთან". ტაშკენტელებმა აღმავლობით ჩაატარეს შეხვედრა და გაიმარჯვეს ანგარიშით 1:0.

## კაპაბლანკას მემორიალზე

ჰავანა, 30 აგვისტო. (საქდესი). კაპაბლანკას მემორიალის მესამე ტურში მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა ვ. სმისლოვმა დაამარცხა ბელგიელი ა. ო' კელი. ჰოლანდიელმა ი. დონერმა მოუგო ავსტრიელ კ. როგარს, ბულგარელმა გ. ტრინგოვმა — ჯ. ლემანს (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა), ხოლო ვ. პიტჩმა (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა) ყაიმით დაამთავრა პარტია ინგლისელ რ. ვეიდთან. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

41-ე სვლაზე გადაიდო ტურნირის „დაუსწრებელი მოთამაშის" — ამერიკის შეერთებული შტატების ჩემპიონის რ. ფიშერისა და რუმინელ ვ. ჩოკილტიას პარტია.

## კოლხიდის ჩირაღდანი

ფოთის ჰიდრომელიორაციული ტექნიკუმი 65 წლისაა

კოლხიდის ჩირაღდანი! — ასე ეძახიან ჭალარა იუბილარს, რომელიც კოლხიდის ზღვისპირა ქალაქ ფოთის იმ ადგილზეა აღმართული, სადაც წინათ გაუვალი ჭაობი იყო. მისი სასწავლო კორპუსები, მოსწავლეთა საერთო საცხოვრებლები მარადმწვანე ხეივნებსა და სკვერებშია ჩაფლული და ჩირაღდანივით ანათებს. აქაური აღზრდილები მარტო კოლხიდის დაშრობის ან გვალვიანი მიწების მორწყვის საქმეს როდი ემსახურებიან. მათ ნახავთ ჩვენი სამშობლოს ჰიდროტექნიკური ხასიათის დიდ მშენებლობებზე — ვოლგა-დონის არხის, ბრატსკის, ხრამის, ლაჯანურის, ენგურის და სხვა ჰესების მშენებლობებზე....

საქართველოს ერთ-ერთი უძველესი სპეციალური სასწავლებლის ბაზაზე შექმნილი ფოთის ჰიდრომელიორაციული ტექნიკუმი დიდი ოქტომბრის რევოლუციამდე გარკვეულ როლს ასრულებდა ტექნიკური კადრების მომზადების საქმეში. მაგრამ მისი მნიშვნელობა კიდევ უფრო გაიზარდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ.

სწორედ ამ პერიოდში საბჭოთა მთავრობამ მიიღო დადგენილება საქართველოში ჰიდრომელიორაციული სამუშაოების გასაფართოებლად და პირველ რიგში კოლხიდის მრავალსაუკუნოვანი ჭაობების დასაშრობად. დიდი სამუშაოები დაეკისრა სპეციალურ სასწავლებელს, რომელიც მაშინ გადაკეთდა ამიერკავკასიის ჰიდროტექნიკუმად და დაევალა სპეციალისტთა მომზადება. საქმის ინტერესებისათვის იმ დროს ტექნიკუმი თბილისიდან ფოთში იქნა გადატანილი.

ეს იყო 1930 წელს მაშინ სასწავლებელს არ ჰქონდა საკუთარი შენობა, ღარიბი იყო მისი სასწავლო-ტექნიკური ბაზა. მაგრამ პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მზრუნველობით ტექნიკუმმა აიგო საკუთარი სამსართულიანი შენობა, სასწავლო კორპუსები, საერთო საცხოვრებლები, განმტკიცდა მისი ტექნიკურ-მატერიალური ბაზა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე სასწავლებელმა გამოუშვა მხოლოდ 620 კაცი, მის შემდეგ კი — 4.000-ზე მეტი მაღალკვალიფიციური ტექნიკოსი. ამჟამად დასწრებულ და დაუსწრებელ განყოფილებებზე 600-მდე ახალგაზრდა სწავლობს.

ტექნიკუმის მდიდარ კაბინეტ-ლაბორატორიებში დილიდან საღამომდე არ წყდება მუშაობა. თეორიულ ცოდნას მოსწავლეები ცდით, დაკვირვებით განიმტკიცებენ.

აქ სხვადასხვა დროს სწავლა-აღზრდის კეთილშობილურ საქმეს ემსახურებოდნენ, ტექნიკუმის პირველი დირექტორი შ. ძიძაძე, დირექტორები ი. ჟვანია, პ. კორძაია, გ. ზამბახიძე, ვ. შუბლაძე, ა. მოწერელია, ა. უჩანეიშვილი, რომლებმაც დიდი ამაგი დასდეს ამ სასწავლებელს. აი მასწავლებლები: ფ. ნადარეიშვილი, ლ. კიკნაძე, დ. ჩოჩია, ვ. ლაღიძე, ჭ. თურქია, ვ. გურგენიშვილი, ნ. დანელია, ვ. კეშელავა, ქ. ნადარაია, ვ. ბასილაია, თ. ქოიავა, რ. საბაშვილი და სხვები; ბევრი მათგანი მოუღლელი ენერგიით დღესაც განაგრძობს მოსწავლეთა აღზრდას.

— ჩვენი უმთავრესი სიმდიდრე და სიამაყე აქ აღზრდილი კადრებია, — თქვა მოხსენებაში ტექნიკუმის დირექტორმა გრ. კვაშილავამ, — სად არ შეხვდებით მათ. იყვნენ ისინი ზაჰესისა და რიონჰესის მშენებლობებზე, ალაზნის ველის მოსარწყავად და კოლხიდის საუკუნოვანი ჭაობების დასაშრობად, სამგორის ათვისებისათვის გაჩაღებულ სამელიორაციო სამუშაოებზე და ვოლგა-დონის სანაოსნო არხის მშენებლობაზე; უტევდნენ ყამირ მიწებს და იდგნენ ბრატსკის ჰიდროელექტროსადგურის მშენებელთა რიგებში. ფოთელი ტექნიკოსები აგებდნენ ხრამისა და ლაჯანურის ჰიდროელექტროსადგურებს. ტექნიკუმის მიერ გამოშვებული მრავალი სპეციალისტი ამჟამად წარმატებით მუშაობს უნიკალური თაღოვანი კაშხალის — ენგურჰესის მშენებლობაზე.

ტექნიკუმის კურსდამთავრებულებმა, პედაგოგ-მასწავლებლებმა, მოსწავლეებმა, ქალაქ ფოთის მშრომელებმა სასწავლებლის დაარსების 65 წლისთავი იზეიმეს. აქ იყვნენ სტუმრები საქართველოს მრავალი კუთხიდან. ზეიმში მონაწილეობდნენ ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი მ. გაგოშიძე, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ნ. დანელია, პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროფესორი დ. მშვენიერაძე, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დოცენტი ი. კაკულიძე, საბჭოთა კავშირის გმირი ტექნიკუმის კურსდამთავრებული შ. შურღაია, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტის საშუალო სპეციალური განათლების განყოფილების გამგე გ. ვარაზაშვილი და სხვები.

პირველი გულთბილი სიტყვა იუბილარს მიუძღვნა პარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ი. გეგეჩკორმა.

სიტყვებით და მოგონებებით გამოვიდნენ ტექნიკუმის პირველი დირექტორი ქ. ფოთში, რესპუბლიკის დამსახურებული აგრონომი პ. კორძაია, ამ ტექნიკუმის კურსდამთავრებული ამჟამად ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი ც. მირცხულავა, ტექნიკუმის ყოფილი სასწავლო ნაწილის გამგე, ამჟამად ტექნიკუმის საკვალიფიკაციო კომისიის თავმჯდომარე, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ნ. დანელია, პროფესორი მ. გაგოშიძე.

ტექნიკუმის კოლექტივს და კურსდამთავრებულებს მხურვალედ მიესალმნენ თბილისის მანქანათმშენებლობის ტექნიკუმის დირექტორი რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი მ. ჯიბუტი, ბათუმის ვაჭრობის ტექნიკუმის დირექტორი ნ. გოგიტიძე, რუსთავის ქიმიურ-მეტალურგიული ტექნიკუმის დირექტორი შ. საანიშვილი, ქუთაისის ავტოტექნიკუმის დირექტორი დ. მეგრელიშვილი, ჩაის მრეწველობის მახარაძის ტექნიკუმის დირექტორის მოადგილე შ. გობრონიძე, კურსდამთავრებულები ნ. ფარღალავა, გ. ქადარია, ლ. ლიპარტია, ფოთის განათლების განყოფილების გამგე ვკ. ცხადაია და სხვები.

წაკითხულ იქნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის აკადემიკოს გ. ჯიბლაძის მისალმება და აკადემიკოს ქ. ბახტაძის, პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორის პროფესორ ი. ბუაჩიძის, პროფესორების რ. ნიკოლაძის, ვ. ზამბახიძის, კ. ზერაგიას, მწერალ რ. კორძიას და სხვების მისალოცი დეპეშები.

ვ. ნოდია.
„კომუნისტის" საკ. კორ.



სურათზე: ფოთის ჰიდრომელიორაციული ტექნიკუმის შენობის ხედი.

ფოტო ბ. გავრილენკოსი.

## მარსზე ვულკანები არის?

მოსკოვი. (საქდესის კორ.). ლენინგრადელმა მეცნიერმა გ. კატერფელდმა წამოაყენა ჰიპოთეზა, რომ ზოგიერთი გამოუცნობი მოვლენა მარსზე ვულკანური ხასიათისაა. მან ჩამოთვალა სულ ცოტა 18 ნამდვილად აღნიშნული შემთხვევა, რომლებიც შეიძლება მიჩნეულ იქნეს, როგორც ვულკანების მოქმედების შედეგი.

სსრ კავშირის გეოგრაფთა საზოგადოების პლანეტოლოგიის კომისიის თავმჯდომარეს გ. კატერფელდს ვულკანიზმის გამოვლინებად მიაჩნია ნაცრისფერი ღრუბლები, რომლებიც მარსზე შეიმჩნევა (ისინი არ გვანან იმ თეთრ ნისლებსა და მოწითალო მტვრის ქარიშხალს, რომლებსაც ჩვეულებრივ ხედავენ ასტრონომები) აგრეთვე აფეთქებები, რომლებიც უფრო კაშკაშაა, ვიდრე წითელი პლანეტის პოლარული ქუდები და თეთრი ღრუბლები. ეს მოვლენები, კერძოდ, აღნიშნულია 1937 და 1950-1958 წლებში.

მეცნიერმა მარსის რუკაზე აღნიშნა აფეთქებისმაგვარი მოვლენების ადგილმდებარეობა და გამოიტანა დასკვნა, რომ ეს მოვლენები შემთხვევით კი არ ნაწილდება, არამედ გარკვეულ რაიონებში ხდება.


## ხელისმომწერთა საყურადღებოდ



სსრკ კავშირგაბმულობის სამინისტროს პრესის გავრცელების მთავარი სამმართველო — „სოიუზპეჩატი" იუწყება, რომ ხელმოწერა 1966 წლისათვის საბჭოთა და საზღვარგარეთის ყველა ჟურნალ-გაზეთზე დაიწყება 1965 წლის პირველ სექტემბერს.

ხელმოწერა ცენტრალურ ჟურნალ-გაზეთებზე, აგრეთვე რესპუბლიკურ, სამხარეო, საოლქო, საქალაქო და რაიონულ გაზეთებზე იწარმოებს თავისუფლად, სრულიად შეუზღუდავად.

რესპუბლიკურ, სამხარეო და საოლქო ჟურნალებზე — დამტკიცებული ტირაჟის ფარგლებში.

საღამოს საქალაქო, საოლქო გაზეთებზე, რომლებიც ამჟამად ცალობით ვრცელდება, ხელმოწერა არ მიიღება.

გაზეთ „იზვესტიას" დამატება „ნედელია" და გაზეთ „სოვეტსკი სპორტის" დამატება „ფუტბოლი", როგორც წინათ, გავრცელდება მხოლოდ ცალობით.

ხელმოწერა ჟურნალ-გაზეთებზე შეიძლება გაფორმდეს „სოიუზპეჩატის" ხელმოწერის პუნქტებში, საზოგადოებრივ გამავრცელებლებთან, საწარმოებში, დაწესებულებებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, სასწავლებლებსა და სხვა ორგანიზაციებში, აგრეთვე კავშირგაბმულობის განყოფილებებსა და ფოსტამტებში.

ხელმოწერა 1966 წლის იანვრისათვის ყველა საბჭოთა ჟურნალ-გაზეთებზე მიიღება ა./წ. 25 ნოემბრამდე. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ ხელმოწერა გაფორმდება 1966 წლის თებერვლისათვის და შემდეგი თვეებიდან.

სსრკ კავშირგაბმულობის სამინისტროს პრესის გავრცელების მთავარი სამმართველო („სოიუზპეჩატი").


## ჩა ვუსმინოთ, ჩა ვუყუროთ

### რადიო

31 აგვისტო

პირველი პროგრამით

10.15 — გადაცემა მოსწავლეთათვის — „თქვენთვის, ალისფერყელსახვევიანებო", 12.30 — გადაცემა ციკლიდან „მოძმე საბჭოთა რესპუბლიკებში", 12.45 — პიესები საესტრადო ორკესტრისათვის, 13.40 — ოსური სიმღერები, 17.15 — რ. გაბიჩვაძე. მესამე სიმებიანი კვარტეტი, 17.40 — გადაცემა პატარებისათვის „ლაპარაკობს რადიოსადგური „ციცინათელა"", 18.10 — მსუბუქი მუსიკა, 19.30 — „მოწინავე გამოცდილების სკოლა" — საუბარი „საშემოდგომო ხორბლის მყარი მოსავლისათვის", 20.15 — ქართული ხალხური მუსიკის კონცერტი. 20.30 — რადიოგაზეთი ახალგაზრდობისათვის, 21.00 — „ძილისპირული", 21.15 — კონცერტი ო. კუზნეცოვას, ა. გაგუას, ი. შუშანიას და თ. ამირეჯიბის მონაწილეობით, 22.00 — ლიტერატურული გადაცემა, 23.30 — ჩილის სიმღერები.

### ტელევიზია

31 აგვისტო

11.00—დოკუმენტური ფილმი, 12.00 — მხატვრული ფილმი „გულებით სავსე ჩანთა", 17.55 — გადაცემათა პროგრამა, 18.00 — თქვენთვის, პატარებო! „ცეროდენას ეკრანი", 18.20 — მოსწავლეთათვის „გამარჯობა, მშობლიურო სკოლავ!", 18.50 — კინონარკვევი, 19.00 — გადაცემა „კონკურსის წინ", 19.20 — კინონარკვევი, 19.30 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის „მთათუშეთის ბილიკებზე", 19..45 — კინონარკვევი. 20.00 — კონცერტი „ახალგაზრდობა", 20.40 — ახალი ამბები, 20.55 — მხატვრული ფილმი „ქეთო და კოტე", 22.25 — გადაცემათა პროგრამა 1 სექტემბრისათვის, 22.30 — სატელევიზიო ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 23.00 — ლიტერატურული სამშაბათი (გადმოცემა მოსკოვიდან).

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.


კომუნისტი — თბილისი, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეების — 9-98-08, 9-08-09, პ/მგ მდივნის — 9-72-80, ხამდივნოსი — 9-66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 9-87-61, პროპაგანდის — 8-22-93, მრეწველობის — 8-20-84, სოფლის მეურნეობის — 9-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 8-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 8-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 9-55-01, ინფორმაციის — 8-16-90, უცხოეთის — 8-15-68, წერილების — 9-72-24, ილუსტრაციის — 8-28-54, განცხადებების — 8-98-96.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 — ბეჭდ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.